მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 29 დეკემბერი, 1944 წ. № 261 (7214). ფასი 20 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მუსიკალური კულტურის აყვავება. მოწინავე. (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 27 და 28 დეკემბრის ოპერატიული ცნობები. (1-ლი გვერდი).

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან. (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი).

დავეხმაროთ ინიციატივიან ადამიანებს, დავანალისოთ ისინი.—„პრავდის“ მოწინავე. (მე-2 გვერდი).

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანიზაციის „ანგარიშებსა“ და არჩევნებში: უფრო ახლო ახალგაზრდობასთან; აღვზარდოთ მაღალკვალიფიციური კადრები. (მე-2 გვერდი).

დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა. (მე-3 გვერდი).

„ჯურღლის ფარი“ ფრონტზე. (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები. (მე-4 გვერდი).

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მუსიკალური კულტურის აყვავება

დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში სამი ძმძე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა მუსიკალური კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები წარსდგნენ მშრომელთა წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით, იმით, რაც მათ გააკეთეს გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი საძამული ომის უაღრესად დაძაბულ წლებში.

საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და დიდი შემოქმედებითი აღმავლობის ერთერთ საუკეთესო დემონსტრაციად გადაიქცა ასეთ რთულ სამხედრო ვითარებაში სამი მოძმე რესპუბლიკის საბჭოთა მუსიკის დეკადის მოწყობა. დეკადამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ საბჭოთა ზურგი და ფრონტი მტკიცედ, განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ჩვენს ტანჯულ და ქვემეხთან, ბომბთან და ნაღმთან ერთად, მხატვრული სიტყვაც, მუსიკაც, შემოქმედების ყველა ჟანრი იბრძვის პროგრესული კაცობრიობის უბოროტესი მტრის — საზიზღარი ფაშიზმის მოსასპობად, იბრძვის იმ ნათელი და სასიხარულო დღის მოსაახლოებლად, როცა სამუდამოდ დასამარდება ვერაგი მტერი.

უმაღლესმა მთავარსარდალმა, ჩვენი გამარჯვებების გენიალურმა ორგანიზატორმა დიდმა სტალინმა ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებულ შრომას სამამულო ომის ძნელ პირობებში:

„ჩვენი ინტელიგენცია, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — გაბედულად მიდის ნოვემბრის გზით ტექნიკისა და კულტურის დარგში, წარმატებით ავითარებს თანამედროვე მეცნიერებას, შემოქმედებითად იყენებს მის მიღწევებს წითელი არმიისათვის საჭურვლის წარმოებაში. საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი შემოქმედებითი შრომით ფასდაუდებელი განძი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში“.

დიდი ბელადის ეს სიტყვები ეხება ჩვენი ინტელიგენციის ისეთ შესანიშნავ ძალებსაც, როგორიც არიან საბჭოთა კომპოზიტორები, შემსრულებელთა საუკეთესო კადრები. ისინი თავიანთი შემოქმედებით აღფრთოვანებენ წითელი არმიის სახელოვან მებრძოლებს, საბჭოთა ზურგში მომუშავე ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე წარმოდგენილ იქნა მაღალი შემოქმედებითი ოსტატობის შესანიშნავი ნიმუშები. ისინი საბჭოთა ადამიანებს უძლიერებენ პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობას, კიდევ უფრო განუმტკიცებენ მტერზე სრული გამარჯვების რწმენას და განაცდევინებენ კანონიერ სიამაყეს სოციალისტური სამშობლოს უდიდესი მიღწევებით.

დეკადამ გვიჩვენა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის მუშაკებმა ომის დღეებში ბევრი ძვირფასი ნაწარმოები შეიქმნეს. დიდი წარმატება ჰქონდათ აზერბაიჯანელ კომპოზიტორებს სტალინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს უზეირ ჰაჯიბეკოვს, ფიქრეტ ამიროვს, აშრაფ აბასოვს, ჯევდეტ ჰაჯიევს, ნიაზს, ელზა მაილიანს, ყარა ყარაევს და სხვებს. მათი ნაწარმოებნი დეკადაზე შეასრულეს ისეთმა ოსტატებმა, როგორიც არიან: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბულ-ბული, ჰაჯიბაბაბეკოვი, რზაევა, ხან-შუშინსკი, ალალაროვი, ბუნიატ-ზადე, მუსტაფიევი, რზაევი, რახიმოვა, კადიმოვა, შუშინსკაია.

სომხეთის სს რესპუბლიკა დეკადაზე წარმოდგენილ იყო სტალინური პრემიის ლაურეატის არამ ხაჩატურიანის, ა. სტეფანიანის, კ. ზაქარიანის, კ. ეგიზარიანის, ე. მირზოიანის, ა. ტერგევონდიანის, ა. ბაბაჯანიანის, ვ. ტალიანისა და სხვა კომპოზიტორთა ინჟიერად დაწერილი ნაწარმოებებით. მათი შემოქმედება მშვენივრად შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. დანიელიანმა, აგრეთვე ტ. საზანდარიანმა, ტ. ხაჩატრიანმა, დ. პოღოსიანმა, ლ. ავეტისიანმა, გ. ბოგდანიანმა და სხვებმა. კომიტასის სახელობის კვარტეტმა თავისი შესრულების დახვეწილობითა და ტექნიკათ აღტაცებაში ძოიყვანა მაყურებელი.

დეკადაზე თვალსაჩინო მიღწევები გამოავლინეს საქართველოს სს რესპუბლიკის კომპოზიტორებმა, დირიჟორებმა, შემსრულებლებმა. აქ წარმოდგენილი იყო ჩვენი საოპერო ხელოვნების ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის, ძველი თაობის კომპოზიტორების — მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის ნაწარმოებებთან ერთად ახალგაზრდა კომპოზიტორების — სტალინური პრემიის ლაურეატების შ. მშველიძისა და გ. კილაძის, აგრეთვე ი. ტუსკიას, ვ. გოკიელის, შ. თაქთაქიშვილის, ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, შ. აზმაიფარაშვილის და სხვების მხატვრული პროდუქცია, რაც მათ დიდი სამამულო ომის პერიოდში შეჰქმნეს. შესრულების მაღალი კლასი გვიჩვენეს ცნობილმა ოსტატებმა დ. ანდღულაძემ, ნ. ხარაძემ, ვ. სოხაძემ, პ. ამირანაშვილმა, მ. ნაკაშიძემ და სხვებმა.

ინდივიდუალური შემსრულებლების გარდა დეკადაზე მონაწილეობა მიიღეს და ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვეს ორკესტრებმა, ანსამბლებმა, ხალხურმა გუნდებმა, ქორეოგრაფიის ისეთმა ნიჭიერმა წარმომადგენლებმა, როგორიც არიან ვ. ჭაბუკიანი და ლ. გვარამაძე.

საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების ოქროს ფონდში შევა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპოზიტორთა მიერ სამამულო ომის ძმაფრ დღეებში შექმნილი ნაწარმოებნი: ა. ხაჩატურიანისა და ა. სტეფანიანის სიმფონიები, შ. მშველიძის ორატორია „გამარჯვების პოემა“, „სიმღერა სტალინზე“, რ. გაბიჩვაძის „ბალადა ბერიაზე“, გ. კილაძის 1-ლი სიმფონია, ა. ბალანჩივაძის 1-ლი სიმფონია, უზეირ ჰაჯიბეკოვის „დაჭრილი მებრძოლის ნაამბობი“, „მოწოდება“ „შევქმეთ ბაჯირი“, ნიაზის „ბრძოლაში“, ა. ტერგევონდიანის სიუიტები და ბევრი სხვა. მათში ძლიერად სჩქეფს ხალხური შემოქმედების დამახასიათებელი მრმხიბლეველი მელოდიები, ჯანსაღი, წარმტაცი მუსიკალური რიტმი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადამ ცხადჰყო ჩვენი მუსიკალური კულტურის მაღალი დონე, მრისხანე ომის დღეებშიც მისი შეუჩერებელი ზრდა და აყვავება. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ დიდი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად, რასაც **ლენინ-სტალინის** პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად იჩენენ ხელოვნებისადმი, კულტურისადმი. ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელებამ ამიერკავკასიის ხალხებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, ყველა პირობა შეუქმნა იმისათვის, რომ სამამულო ომის დღეებში კი არ შეესუსტებინათ, არამედ უფრო გაეძლიერებინათ შემოქმედებითი მუშაობა კულტურის ყველა დარგში.

დეკადამ ახალი საბრძოლო ამოცანები დასახა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის მუშაკთა წინაშე შემოქმედებითი საქმიანობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად, მხატვრული ოსტატობის ახალი მწვერვალების დასაუფლებლად. ეჭვი არ არის, რომ ისინი წარმატებით შეასრულებენ ამ საბრძოლო ამოცანებს.

გაუმარჯოს ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა მუსიკალურ კულტურას!

წინ, ახალი შემოქმედებითი წარმატებებისაკენ!

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების გადადების შესახებ

საომარ ვითარებასთან დაკავშირებით გადაიდოს 1945 წლის დეკემბრამდე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები და ამავე ვადით განგრძობილ იქნას ამ საბჭოების უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1944 წ. 26 დეკემბერი. ქ. თბილისი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ზემოსვანეთის რაიონის შემდეგ სოფლებს გადაერქვა სახელები და ეწოდა: **გაგიშს** — იალბუზი, თეგენეკლს — ფიქვნარი, ბაიდაევს—თამარიანი, ჟუბასანს — განახლება, ზემო ბაქსანს — ბუხაიძე.

შექმნილია **იალბუზის** სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ იალბუზში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

27 დეკემბრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ შახის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები კოლარი, ველიკაია ჩალოშია, კოსიგი, ბალოგი, ველიკაია ვესი, სეჩანკი, ნეკია, კლენიანი. ამავე დროს შახის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ წარმატებითს ბრძოლებს მდინარეებს იპელსა და ბრონს შუა მდებარე რაიონის გასაწმენდად მოწინააღმდეგისაგან. 26 დეკემბრის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1,510 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, ამასთან დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე დაიკავეს გარეუბნები — ჩემარი, ვაგლოდი, ეჩერი, ვეჩეში და დასავლეთ ნაპირზე — კელენფელდი, გუდაკალასი, ბეკაშმედიერე, აგრეთვე დასახლებული პუნქტები პილიშანტო, იზბეგი, სენტენდრე. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა გადალახეს დუნაის აღმოსავლეთი ტოტი, ბუდაპეშტის ჩრდილოეთით, დაიკავეს კუნძული და ამ კუნძულზე არსებული დასახლებული პუნქტები ტოტფალუ, პოჩედიერი, სიგეტმონოშტორი და კავშირი დამყარეს იმ ნაწილებთან, რომლებმაც დუნაის დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს სენტენდრე. ამრიგად, შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა ორ ნაწილად გაჰკვეთეს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფება, ერთი მათგანი შეამწყვდიეს მთიან-ტყიან რაიონში, დუნაის მოსახვევში ბუდაპეშტის ჩრდილოეთით, ხოლო მეორე მარწუხში მოაქციეს ქალაქ ბუდაპეშტში. 26 დეკემბრის ბრძოლებში ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს ორ ათასზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ სეკეშფეხერვარის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეუპოვარი ბრძოლებით სწმენდნენ მოწინააღმდეგისაგან მთიან-ტყიან რაიონს, ამასთან დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ფელშე გალა, დასახლებული პუნქტები ნიერგეშუშეფალუ, �აიტი, ლაბატლანი, პიტკე, შიუტე, ტარდოში, ტოლნა, ტატაბანია, განხიდა, კეხანიაში, კაპოლნაპუსტა, განტი, ჩაკბერენი და რკინიგზის სადგური ნიერგეშუშეფალუ, შიუტე.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

26 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 74 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი.

28 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

28 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის ტერიტორიაზე, დიენდიეშის ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური სეჩენი, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები შალგო, ზადვარონა, კარანჩალია, ეტეში, ნად-ბეცი, გარპი.

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ შახის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში მოქმედებენ, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ტრეგუშოვცე, ინამი, დურკოვცე, ჩელოვცე, ოკაპა, გრუშოვი, ფოდიმეში. ამავე დროს შახის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს მდინარეებს იპელსა და ბრონს შუა მდებარე რაიონი და ამასთან დაიკავეს დასახლებული პუნქტები პასტოვცე, დარმოტი, პალდი, სალკა, ლელედი, ხალემბა, კიჩინდი, გარამ კეთეშდი და რკინიგზის სადგურები ხალემბა, კოვაჩკატაკი. ამრიგად, ჩვენი ჯარები გავიდნენ მდინარე ბრონის აღმოსავლეთ ნაპირზე ქალაქ ლენიცეშან დუნაიმდე.

27 დეკემბრის ბრძოლებში დიენდიეშის ჩრდილო-დასავლეთით და შახის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონებში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 2,200 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებს განაგრძობენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე დაიკავეს გარეუბნები დუნაკესი, ალაბიკილა, არპადი, ციანკოტა, პეცელი, რაკოშჩაბა, რაკოშლიგეტი, რაკოშკერესტური, პეშტსენტლორინცი, პეშტსენტიგრე, ანდრაში, დიალი. ამავე დროს ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ნაწილების მოსასპობად მთიან-ტყიან რაიონში დუნაის მოსახვევში, ბუდაპეშტის ჩრდილოეთით, და დაიკავეს დასახლებული პუნქტი პილიშსენტკერესტი. დასახლებულ პუნქტ პილიშსენტკერესტისათვის ბრძოლაში წამოვიყვანეთ უნგრელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ჯგუფი 600 კაცის საერთო რაოდენობით, მათ შორის 1 გენერალი, 8 პოლკოვნიკი და 18 ოფიცერი.

ქალაქ სეკეშფეხერვარის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს მთიან-ტყიანი რაიონი ვერტეშხედშეში და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ნესმეი, აგოსტიანი, ტაპაროში, შარკერესტეში. ქალაქ სეკეშფეხერვარის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური პოლგარდი და დასახლებული პუნქტები შარკესი, შარკესი ალშო, ნადაშდლიდანი, იენე, ერეუბეტი, შანდორა.

27 დეკემბრის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 694 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

27 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 49 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ შახის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს. ნ შენაერთის ნაწილებმა გერმანელები განდევნეს მთებში მდებარე ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან, რამდენიმე პატარა მდინარეში გაიდნენ და წინ წაიწიეს 10 კილომეტრით. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია ერთ ბატალიონნაღდე ჰიტლერელი, მოწინააღმდეგის 15 ქვემეხი და 3 სანალმტყორცნო ბატარია.

* * *

ბუდაპეშტის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. საბჭოთა ნაწილებს იერიში მიაქვთ ჰიტლერელთა დასაყრდენ პუნქტებზე და ავიწროებენ გარემოცვის რკალს დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგე განდევნილია თორმეტი გარეუბნიდან, მათ შორის დაბა პეშტსენტლორინციდან, რომელიც ხუთ კილომეტრზე მდებარეობს უნგრეთის დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მტერს უდიდესი ზარალი მოსდის. ბრძოლების ადგილები სავსეა ჰიტლერელთა გვამებით, მოწინააღმდეგის დამტვრეული საჭურვლითა და ტექნიკით.

ბუდაპეშტის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის ნაწილები, რომლებიც გარშემორტყმული არიან მთიან-ტყიან ადგილში, სასოწარკვეთით ცდილობენ დასავლეთისაკენ გაიჭრან. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი, რომელსაც ტანკები ეხმარებოდნენ, კონტრიერიშზე გადმოვიდა. ჰიტლერელებს თავს დაატყდათ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი და მეტ წილად მოსპობილ იქნენ. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ორმა ასეულმა, რომლებზედაც იერიში მიიტანეს ჩვენმა ქვეითებმა, ავარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგვნებდა.

მტერთან ბრძოლებში საბჭოთა მეომრები უსაზღვრო მამაცობასა და მაღალ სამხედრო ოსტატობას იჩენენ. გვარდიის რიგითმა მებრძოლმა ხუტაი კალიევმა ' ტანკსაწინააღმდეგო გრანატით ააფეთქა გერმანელთა თვითმავალი ქვემეხი და მოსპო მისი ეკიპაჟი. გვარდიის სერჟანტმა მატიუშმა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ცეცხლით გერმანელთა რვი ტანკი დააზიანა. გვარდიის ზემდეგ ბეკაროვის საქვემეხო გუნდმა ცეცხლი წაუკიდა გერმანელთა მძიმე ტანკ „სამეფო ვეფხვს“. ლეიტენანტ დუდიკის საკავალერიო ესკადრონი მოწინააღმდეგის ზურგში შეიჭრა და თავს დაესხა გერმანელთა ავტოკოლონას. საბჭოთა ცხენოსნებმა გაანადგურეს 40 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს 6 ავტომანქანა და ტყვეები. მეტყველმფრქვეველ პოლტოოვმა მტრის კონტრიერიშის მოგერიებისას 15 გერმანელი დახოცა. გვარდიის რიგითებმა ტომინმა და მუდრენკომ ხელთ იგდეს საშტაბო მსუბუქი მანქანა და ტყვედ წამოიყვანეს შიგ მჯდომი გერმანელი ოფიცერი დიდი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებიანად.

* * *

ქალაქ სეკეშფეხერვარის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ქვეითები, ტანკისტები და არტილერისტები, რომლებიც დუნაის სამხრეთი ნაპირის გასწვრივ უტევენ, ბრძოლებით მიიწევდნენ დასავლეთისაკენ. ერთ რაიონში ჩვენმა ტანკებმა უეცრად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგის დაჯგუფებაზე. ჰიტლერელები, რომელთაც მოუმზადებელს მიუსწრეს, განადგურებულ იქნენ. გერმანელებს წავართვეთ 56 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, მათ შორის 26 სავსებით ვარგისი ქვემეხი, 35 საველე ქვემეხი და სხვა დაგლა. სხვა უბანზე საბჭოთა ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ, გაანადგურეს მტრის გარნიზონი სოფელ ტადაროშში და ბრძოლები გაიჩაღეს ქალაქ ტატის—გერმანელთა ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტის გარეუბნებში. ნ შენაერთის კავალერისტებმა ვერტეშხედშეგის ტყიანი მთების გაწმენდისას 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაეძლიტეს.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ კოშიცეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გერმანელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ წინა დღით დაკარგული პოზიციები და რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში. მაიორ ანდრეევის ბატალიონის მებრძოლებმა ბრძოლის მსვლელობაში დახოცეს 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დააზიანეს და დასწეს მოწინააღმდეგის 4 ტანკი. რიგითმა მებრძოლმა მიხეილ ნალივაიკომ მუხლუხებში გრანატის კონების სროლით გერმანელთა 2 ტანკი მოსპო.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს გერმანელთა 10,000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა 1945 წლის 1 იანვარი არასამუშაო დღედ ჩაითვალოს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და ყველა მშრომელს, რომ 28 დეკემბერს 23 საათსა და 15 წუთზე მოსკოვში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი, საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალთა დაუღალავი ორგანიზატორი, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. **კლავდია ივანეს-ასული ნიკოლაევა.**

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. **კლავდია ივანეს-ასულ ნიკოლაევას** გარდაცვალებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს, პროფესიული კავშირების ყველა წევრს, რომ 1944 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ძველი წევრი, პროფესიული მოძრაობის, თვალსაჩინო მოღვაწე, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხანაგი **კლავდია ივანეს-ასული ნიკოლაევა.**

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო

ცნობა

ამხ. კ. ი. ნიკოლაევას დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ფ. შკირიაგოვი, გ. მ. პოპოვი და ელენე გაბრიელის-ასული შულგა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. კ. ი. ნიკოლაევას დაკრძალვის მომზადებისა კომისიისაგან

ამხ. კ. ი. ნიკოლაევას ცხედარი დასვენებულია „გუმის“ შენობაში (წითელი მოედანი).

განსვენებულთან გამოსათხოვებლად „გუმის“ შენობაში (წითელი მოედანი) თავისუფლად შესვლა შეიძლება 29 დეკემბრის საღამოს 6-დან 10 საათამდე.

დაკრძალვის დრო დამატებით იქნება გამოცხადებული.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მივიჩნიოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ ორდენი „გმირი დედა“ დასსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ალექსანდრა ქრისტოფორეს-ასულ **აკოპოვას** — დასახლისს, ქალაქი ბაკო, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა.
2. ალექსანდრა ევმენიეს-ასულ **ახლანოვას** —უკრაინის სს რესპუბლიკის ზაპოროჟიეს ოლქის პრიაზოვიეს რაიონის კოლმეურნეობა „გიგანტის“ წევრს.
3. ანა ნაზარის-ასულ **ბელიკს**—დასახლისს, ქალაქი კრემატორსკი, უკრაინის სს რესპუბლიკა.
4. უმხანუმ ბაშირ ყზი **ბელიევას**—დასახლისს, ქალაქი ბაკო, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა.
5. ნინო გიორგის-ასულ **გაფრინდაშვილს**—დასახლისს, სოფელი გურჯაანი, საქართველოს სს რესპუბლიკა.
6. გასიტას რაფიელის-ასულ **გელიაშვილს**—დასახლისს, საქართველოს სს რესპუბლიკის სამტრედიის რაიონის სოფელი კულაში.
7. ალი ყზი **ჯაბანს**—საქართველოს სს რესპუბლიკის ბორჩალოს რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
8. გიზილ გიულ ბეკალმარ ყზი **ქერიმოვას**—დასახლისს, ქალაქი ბაკო, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა.
9. ნატალია პავლეს-ასულ **კისელიოვას** — დასახლისს, რსფს რესპუბლიკის ქალაქი ივანოვო.
10. ეკატერინე კირილეს-ასულ **კრინიცინას** —რსფს რესპუბლიკის კიროვის ოლქის მედიანსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბრონის“ წევრს.
11. ანასტასია სერგის-ასულ **ლეგაშჩევას**—რსფს რესპუბლიკის კურსკის ოლქის ზოლოტუხინოს რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს.
12. ალექსანდრა თევდორეს-ასულ **ლობანოვას**—მარეთის ასს რესპუბლიკის სერნურის რაიონის კოლმეურნეობა „შოკშემ სოლას“ წევრს.
13. მარიამ მოსეს-ასულ **მარგიშვილს** — კოლმეურნეს, საქართველოს სს რესპუბლიკის კასპის რაიონის სოფელი ზემო ხანდაკი.
14. ანა ანდრიას-ასულ **მალახოვას**—დასახლისს, ქალაქი ტამბოვი, რსფს რესპუბლიკა.
15. მარინე პავლეს-ასულ **მალცევას**—ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის ბლაგოვეშჩენსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ლუჩის“ წევრს.
16. პარასკოვია პეტრეს-ასულ **მატროფანოვას** — რსფს რესპუბლიკის მოლოტოვის ოლქის ჩუსოვოს რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ წევრს.
17. თეოდოსია ვასილის-ასულ **მუკასეევას**—დასახლისს, ქალაქი სარანსკი, მორდვეთის ასს რესპუბლიკა.
18. სოფიო ვასილის-ასულ **ნიკიფოროვას**—კოლმეურნეს, ქალაქი კაზალინსკი, უზბეკეთის სს რესპუბლიკა.
19. ვერა ივანეს-ასულ **ნოხირევას**—დასახლისს, ბაიხუროვის რაიონი, ვორონეჟის ოლქი.
20. ანა ივანეს-ასულ **პარტალას**—დასახლისს, ყაზახეთის სს რესპუბლიკის ალმა-ატის ოლქის ჯამბულის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ეიზნი“.
21. ანა სტეფანეს-ასულ **პიხკუნოვას**—მეღორუსიის სს რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის ვიტებსკის რაიონის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის“ წევრს.
22. ხანუმ დადაშ ბალი ყზი **სალმას**—დასახლისს, ქალაქი ბაკო, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა.
23. თულია თევდორეს-ასულ **პროკუდინას**—დასახლისს, ქალაქი სიმფეროპოლი, ყაზახეთის სს რესპუბლიკა.
24. სობირა **სალიმოვას** — ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სტალინაბადის ოლქის სტალინაბადის რ

დავეხმაროთ ინიციატივიან ადამიანებს, წავახალისოთ ისინი

ულადიმერ ილიას-ძე ლენინი მრავალგზის მოგვაგონებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენს ხალხს მოეპოვება შემოქმედებითი ენერგიის ვიგანტური მარაგი, რომ 1917 წლის ოქტომბერში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა გამოვირნოთ თაოსნობა, შეჯიბრება, გამბედაობა, ფართო გასაქანი მივცეთ უნარს, გამოვავლინოთ ტალანტები, რომელნიც უხვად მოიპოვებიან ხალხში. „ჩვენ, — ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე, გვაქვს მასალა ბუნებრივ სიმდიდრეებშიც, ადამიანთა ძალების მარაგშიც და მშვენიერ გასაქანშიც, რომელიც დიდმა რევოლუციამ მისცა ხალხის შემოქმედებას“.

სოციალისტური მშენებლობის მატიანე აღსავსეა ბრწყინვალე ფურცლებით, რომლებშიც აღბეჭდილია ხალხის ფართო მასების ნიჭისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინების აღრაცხული ფაქტი და მაგალითი. ამ ფურცლებში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სახელები გმირი მშენებლებისა, მუშებისა, ხუროთმოძღვრებისა და მეცნიერებისა, რომელთა საგმირო საქმენი და მოღვაწეობა მასების უმაღლესი ინიციატივის გამოხატულებას წარმოადგენენ. საბჭოთა ხალხის ნიჭი და თაოსნობა ყველას მიერ აღიარებულია.

საბჭოთა ქვეყანაში უყვართ, აფასებენ და ხელს უწყობენ ინიციატივიან ადამიანებს. ჩვენში შრომის, მეცნიერებისა და ხელოვნების ათასობით მუშაკი საყოველთაო პატივისცემის შარავანდედით არის მოსილი შემოქმედებითი მზნებლობებისათვის, ნოვატორობისათვის, იმისათვის, რომ ისინი მიღწეულით არ კმაყოფილდებიან, წინ მოისწრაფვიან და აღწევენ უკეთეს შედეგებს შრომაში, ამდიდრებენ მეცნიერებას ახალი აღმოჩენებით, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი დიდი სოციალისტური საშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ინტელიგენციის ათასობით საუკეთესო მუშაკი ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული. ყველაზე გამოჩენილ ორგანიზატორებს, წარმოების ნოვატორებს, მაღალნიჭიერ ადამიანებს მივნიჭეთ სოციალისტური შრომის გმირის, სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება. საწარმოებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში, სოფლის მშრომელთა შორის არის ბევრი ადამიანი, რომელთა გულშიც მუდამ გიზგიზებს შემოქმედებითი ცეცხლი. ისინი ხედავენ წარმოების გაუმჯობესების საჭიროებას და განუწყვეტლად მიისწრაფვიან იმისაკენ, რომ გაუმჯობესონ წარმოება, სრულყოფილ ტექნიკა, გაამდიდრონ მეცნიერება. ისინი გაბედულად მუშაობენ მეცნიერებასა და ტექნიკაში, აწევიან რაციონალიზატორობას, გამომგონებლობას, აღწევენ აღმოჩენებს. ასეთ ადამიანებს ხალხი პატივსა სცემს და სახელმწიფო ყოველნაირად ეხმარება.

ამას წინათ „პრავდის“ ფურცლებზე მოთხრობილი იყო ტულელი მემანქანის დიმიტრი კორობკოვის ინიციატივის შესახებ. მან თავისი ორთქლმავლის საცეცხლურში გამოიყენა მტვე, დაბალხარისხიანი ქვანახშირი და ამ ქვანახშირის დაწვის ისეთი რეჟიმი დაამყარა, რომელიც ხელს უწყობს ორთქლმავლის ქვაბში ორთქლის დიდი რაოდენობით დაგროვებას, ლოკომოტივის გარშემოს ტექნიკური სიჩქარის გადიდებასა და სათბობის ეკონომიას. დიმიტრი კორობკოვს მატარებლები დაჰყავს დიდი სარქველის გამოყენებით და თავისი პირადი მაგალითით ცხადაყოფს მურა ნახშირის წარმატებით გამოყენებისა და სათბობის ეკონომიის შესაძლებლობას. საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტმა მოიწონა კორობკოვის ინიციატივა და ოლქის სარკინიგზო კვანძების პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დავალა ფართოდ დანერგონ მისი მეთოდი, რომელსაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

სწრაფად მოედო ჩვენს ქვეყანას ერთ-ერთი სატანკო ქარხნის ბრიგადირის ეგორ აგარკოვის ძვირფასი ინიციატივის ამბავი. ამ ნოვატორმა შემოიტანა წინადადება ორი ბრიგადისა და ორი საწარმოო უბნის გაერთიანების შესახებ, რაც საშესაძლებელი გახდა ორი ცვლის ოსტატის, ერთი უფროსი ოსტატის, ორი ბრიგადირის და ორი კვალიფიციური მუშის განთავისუფლება. ამ ღონისძიებამ ქარხანას საშუალება მისცა მოკლე ხნის განავლობაში 15-20 პროცენტამდე აემაღლებინა ბრიგადაში შრომის ნაყოფიერება და ხელი შეუწყო განთავისუფლებული კვალიფიციური მუშაკების უფრო რაციონალურად გამოყენებას.

„პრავდაში“ გამოქვეყნებული სატანკო ქარხნების დირექტორთა ცნობები მოწმობენ ეგორ აგარკოვის ინიციატივის დიდ სახელმწიფო მნიშვნელობას. მცირე ბრიგადების, საწარმოო უბნებისა და საამქროების მოფიქრებული გარდაქმნა და დამსხვილება მრეწველობის საჭიროებებისათვის გათავისუფლებს მაღალკვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების საკმაოდ დიდ რაოდენობას.

მოლოტოვის სახელობის გორკის ავტოქარხანაში ინჟინერ კირსანოვის ინიციატივით დაინერგა სამეცადლო საამქროებში ლითონის ელექტროგახურება. ეს ახალი გამოგონება საშუალებას იძლევა გაუქმდეს გასახურებელი ღუმელები, მინიმუმამდე შემცირდეს ლითონის გახურება, იგი სათბობის დიდ ეკონომიას მოგვცემს.

იმ ქარხნის მთავარ მეტალურგ ამხ. ბობროვის წინადადებით, რომლის დირექტორიც არის ამხ. გორშუნოვი, დანერგილია თხელლითონის ტკეფრვა; ეს მკვეთრად ამცირებს საწარმოო ფართობის საჭიროებას და საშუალებას გვაძლევს სრულიად ალარ ვიხმაროთ საყალიბო მიწა. ამხ. ბობროვის მიერ შემოღებულ მეთოდს მინიმუმამდე დაჰყავს ლითონის მექანიკური დამუშავება, მკვეთრად ამცირებს მუშახელის საჭიროებას, გვაძლევს ლითონის მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღწევის შესაძლებლობას. ამას წინათ ამხ. ბობროვი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

პოდოლსკის საქვაბე ქარხნის ინჟინერთა ჯგუფმა — ამხ. შელკოვიჩმა, მოდელმა, კოპტევმა — სერიოზული ცვლილება შეიტანა ელექტროსადგურების დიდმეტრაჟიანი ქვაბების კონსტრუქციაში, რამაც გაადიდა ამ ქვაბების სიმძლავრე და ლითონის დაზოგვის საშუალება მოგვცა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა და წაახალისა მძიმემანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა.

სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში შეიძლება შევხვდეთ ასეთ მაგალითებს.

ახლა, ომიანობის დროს, როცა მთელი ჩვენი ხალხი ძალებს ძაბავს ჰიტლერულ გერმანიაზე სრული და საბოლოო გამარჯვების მიასაღწევად, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მთელი მატერიალური რესურსების, საბჭოთა ადამიანების მთელი შემოქმედებითი გამოცდილების მობილიზებას. ომის დროს ხალხის შემოქმედებითი ინიციატივა და თაოსნობა განსაკუთრებული ძალით მეღაფდება. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დამპარება გავიწოოთ ამ ინიციატივას, წაავახალისოთ ყოველი წამოწყება, რომელიც სარგებლობას აძლევს საბჭოეთს.

ჩვენში ჭეშმარიტად უსაზღვროა ინიციატივამ, თაოსან ადამიანთა მოქმედების ასპარეზი. ჩვენ უნდა ვეძებოთ და გამოვნახოთ ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის დაზოგვის გზები, ხელი შევუწყოთ ტექნოლოგიის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენი სამხედრო ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომს განმტკიცებას, ხელს შეუწყობს წითელი არმიის აღჭურვას უაღრესად მოწინავე საბრძოლო ტექნიკით, მოაახლოებს მტერზე გამარჯვების ჟამს.

ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის წლებში გიგანტურად გაიზარდა მეურნეობრივად და ტექნიკურად. ჩვენ შევქმენით მრეწველობა, რომელსაც უზრწყვლეყო წითელი არმიის უპირატესობა ფაშისტურ არმიაზე საჰაერო ფლოტისა და სამხედრო ტექნიკის მხრივ. მაგრამ უმართებულო იქნება ვიფიქროთ, რომ ყველგან საკმაოდ კარგად იყენებენ მთელ ადგილობრივ რესურსებს, რომ ჯერეონდ უჭირენ მხარს ინიციატივას, რომელიც ბიძგს აძლევს ადგილობრივი რესურსების სულ უფრო და უფრო მეტად გამოყენებას ჩვენი ქვეყნისა და ფრონტის საჭიროებისათვის. ეს ასე რიდია. ცნობილია ბევრი ფაქტი, რომ, პრაქტიკულ დამპარებას არ უწევენ მაგალითად, ცდას — განავითარონ სამშენებლო მასალის წარმოება ადგილობრივი სახის ნედლეულისაგან, დაიწყონ ადგილობრივი ქვანახშირის, ტორფის საბადოების დამუშავება, მოაწყონ და გაზარდონ ფართო მოხმარების საგნების წარმოება.

ადგილობრივ ინიციატივას უაღრესად ენერგიულ და ფართო დამხმარებას უნდა უწევდნენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები. ყველგან მოიპოვება საკმარისი შესაძლებლობა, საკმაოდ ბევრი ინიციატივიანი ადამიანი, რათა ჯერეონდან გამოვიყენონ ადგილობრივი რეზერვები. დახავსებულობა, კონსერვატიული მოყრობა ახალი გამოგონებისადმი, ინიციატივისადმი, გადაჭრით უნდა დაეგმოთ და აღიკვეთოთ.

საბჭოთა ადამიანებს თავადდებული შრომისათვის აღფრთოვანებს უდიდესი პატრიოტიზმი, თავისი სამშობლოს სიყვარული. ჩვენი ხალხის კეთილშობილური აღფრთოვანება ნაკარნახევი სურვილით ამრავლოს თავისი ქვეყნის სიმდიდრე, კიდევ უფრო გაუმჯობესოს მშრომელთა კეთილდღეობა. იდეურობა და უანგარობა — ასეთია ის მხარეები, რომლებითაც ხასიათდებიან საბჭოთა ადამიანები თაყვანთ ყოველდღიურ შრომითს გმირობაში. უანგარობა კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, გულისხმობს ფართო წახალისებას, რომელსაც ყოველი ხელმძღვანელი უნდა ახორციელებდეს ინიციატივიანი ადამიანების მიმართ.

უფრო ფართო გაქანება მივცეთ შემოქმედებითს ინიციატივას!

ყოველმხრივ დავეხმაროთ და წავახალისოთ ინიციატივიანი, თაოსნების მქონე ადამიანები!

„პრავდის“ 27 დეკემბრის მოწინავე

მოქმედი არმია, უნგრეთი. გვარდიის რიგითი მებრძოლი ა. გ. ფილიშვილი იბრძვის მტრის ტერიტორიაზე უნგრეთში, დუნაისა და ტიხას შორის მდებარე ველზე. ფილიშვილი მეცხრე სტალინური დარტყმის მონაწილეა. ოუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადისათვის ბრძოლებში მან გულადობა და მამაცობა გამოიჩინა. სურათზე: პოდპოლკოვნიკი მელნიკოვი ულოცავს გვარდიელ ფილიშვილს „დიდების“ ორდენით დაჯილდოებას. ფოტო „კომუნისტისათვის“ პ. მაკრუშენკოსი

ხიდი გადარჩენილია

ჩვენი ტანკები და თვითმავალი ქვემეხები, რომლებიც მოწინააღმდეგის სდევნიდნენ, მდინარისაკენ გაექანენ და ჯავშნით მოპაკავდათ მეავტომატეთა და მესანგრეთა დივიზიები. ნაბრძანები იყო—სწრაფი დარტყმით უკუუგდოთ მდინარის დასავლეთ ნაპირზე ჰიტლერელთა საარიერგარდო ქვეგანაყოფები, დაეკავებინათ გადასასვლელი ხიდწონა უბანი მდინარის გაღმა. გერმანელებმა მდინარის მისადგომები სქლად დანაღმეს და არტილერიასა და ნაღმსატყორცნებს უშენდნენ.

ნაწილის მეთაურმა გადასწყვიტა ხიდისათვის ზურგიდან დაერტყა. ამ მიზნისათვის გამოყოფილი იყენენ მესანგრეთა მოიერიშე რაზმები გვარდიის ლეიტენანტების ორეხოვისა და გურეევის მეთაურობით.

შუაღამე გადასული იყო. გაღმიდან გერმანელთა ზარბაზნები და ნაღმსატყორცნები ურტყამდნენ. აქა-იქ მოსჩანდა აფეთქებათა ცეცხლის სვეტები. მესანგრეები ფრთხილად მიდიოდნენ მდინარისაკენ დაჭაობებული დაბლობით, გასასვლელს ნაღმებისაგან სწმენდნენ და თან მიპქონდათ ფიცრები და ძელები, აი ნაპირიც. რაზმების მეთაურებმა ბრძანება გასცეს, ტოვები დამაგდეთო, და გადასასვლელის ადგილის ამოსარჩევად წავიდნენ. როდესაც ისინი დაბრუნდნენ, მდინარესთან უკვე გაკეთებული იყო ორი ტოვი.

მდინარეში ოთხ-ოთხი გადიოდნენ, რ.ოგორც კი ტოვი ნაპირს მიადგებოდა, მესანგრეები ოყიოდე ნაბიჯს გაირბენდნენ და ჩაწებოდნენ, რათა ჩასანგრულიყვნენ და თავდაცვისათვის მომზადებულიყვნენ.

პირდაპირი გზით ხიდამდე ოთხი კილომეტრი იყო გასავლელი. რაზმების მეთაურებს თავიანთი მებრძოლები შემოსავლელი გზით მიპყავდათ და ერიდებოდნენ იმ ადგილებს, სადაც შეიძლებოდა მტერი ყოფილიყო ჩასაფრებული. მთელი დამე ირეს. განთიადისას ორეხოვმა და გურეევმა რაზმები ტყის ნაპირას გაიყვანეს.

დაისვენეს. იარაღი გასინჯეს. ხიდის დასაკავებლად საჭირო იყო ექვსასიოდე მეტრის გარბენა და მცველებზე უეცრად თავდასხმა. გვარდიის ლეიტენანტ ორეხოვთან გვარდიელ ნიჰამეტოდინოვი მივიდა.

— ნება მომეცით, ამხანაგო მეთაურო, ხიდთან მივიდე და დავიცვა იგი, თორემ გერმანელებს შეუძლიათ ააფეთქონ,—უთხრა მან.

ორეხოვმა მიიწონა გვარდიელის თაოსნობა და მის დასახმარებლად კიდევ ორი მესანგრე გამოჰყო. გულადნი გრანატებით შეიარაღდნენ და მდინარისაკენ წახოხდნენ. „ეშმს“ ძახილით მებრძოლები ტყიდან გამოცვივდნენ და ხიდისაკენ გაექანენ. გაჩაღდა გრანატით ბრძოლა. ოთხი გერმანელი შეეცადა ხიდთან მისულიყო და ზონირისთვის ცეცხლი წაეკიდებინა. ისინი დახოცეს ჩვენმა მებრძოლებმა გვარდიელ ნიჰამეტდინოვის მეთაურობით. ხანმოკლე შეტაკებაში ორეხოვისა და გურეევის რაზმებმა დახოცეს მტრის ხიდის მცველნი და მის განაღმვას შეუდგნენ. ჰიტლერელებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ბატარეების სროლა ატეხეს. გზაში გამოჩნდნენ მტრის ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები მოტოქვეითი ჯარის დასანტიანად. მესანგრეები არ დაბნეულან. ხიდის განნაღმვას რაზმის მხოლოდ ერთი ნაწილი ეწეოდა. დანარჩენ მებრძოლებს თავდაცვა ეკავათ და ნაღმიან დაბრკოლებებს აკეთებდნენ. ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი ნაღმის ხაფანგში მოხვდა და აფეთქდა. მაშინ კონტრიერიშზე გადმოვიდა გერმანელთა ქვეითი ჯარის მთელი ბატალიონი. მაგრამ მას უკვე შეხვედრა საბჭოთა ტანკისტებთან მოუხდა.

მესანგრეებმა გადარჩენილი ხიდი განნაღმეს და ზედ საბჭოთა ტანკები გაუშვეს.

ვ. შილკინი

მოქმედი არმია, 28 დეკემბერი (საკადესის სპეც. კორ.)

დამთავრდა არქიტექტურის მუშაკთა სრულიაღსაკავშირო თათბირი

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის მიერ მოწვეული არქიტექტურის მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი, რომელმაც ოთხ დღეს გასტანა.

თათბირის მონაწილეებმა — უდიდესი ქალაქების მთავარმა არქიტექტორებმა, რესპუბლიკურ სამმართველოთა ხელმძღვანელებმა, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს ქალაქების დაგეგმვისა და შენების გამოცდილება, განიხილეს აღდგენითი მშენებლობის პრობლემები.

უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და კარელია-ფინეთის რესპუბლიკის არქიტექტორები ლაპარაკობდნენ ბინებისა და კულტურულ დაწესებულებათა აღდგენის პირველ გამოცდილებებზე, საკოლმეურნეო მშენებლობისადმი დახმარებაზე.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მორდვინოვმა და აღნიშნა, რომ თათბირის შედეგად წარმატებით იქნა განხილული მრავალი სხვადასხვა ამოცანა, რომლებიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის არქიტექტორების წინაშე სდგანან. მორდვინოვმა მოუწოდა არქიტექტურის ყველა მუშაკს მაქსიმალური დახმარება გაუწიონ ომკუანტოგან განთავისუფლებული ქალაქებისა და საკოლმეურნეო სოფლების აღორძინების საქმეს. (საკადესი).

სამეცნიერო კონფერენცია მოსკოვის უნივერსიტეტში

21 დეკემბერს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა მეცნიერების თანამედროვე პრობლემებისადმი — მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის დასკვნითი პლენარული სხდომა.

კონფერენციამ 13 დღეს გასტანა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა, ასპირანტებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა გამოჩენილმა მეცნიერებმა.

კონფერენციაზე 11 სექცია მუშაობდა. იმ მოხსენებათა განხილვაში, რომლებიც მოსმენილი იყო სექციების სხდომებზე, მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის მეცნიერთა საზოგადოებრიობის მრავალმა წარმომადგენელმა.

კონფერენციაზე გადასცეს მთავრობის მიერ დაწესებული მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის პრემიები საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებისათვის, რომლებიც შესრულებულია უნივერსიტეტის პროფესორებისა და მასწავლებლების მიერ. (საკადესი).

სპეციალისტების მომზადება არქიკიკისათვის

წელს ფართოდ გაჩაღდა სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა „გლავსევმორპუტის“ ჰიდროგრაფიულ ინსტიტუტში. ასობით სტუდენტი ემზადება არქტიკაში გასამგზავრებლად. მათი უმრავლესობა პრაქტიკას გაიკლის სპეციალურად მოწყობილ ბაზაში, რომლისთვისაც გამოჰყოფენ ჰიდროგრაფიულ გემებს.

ინსტიტუტთან შექმნილია მეტეოროლოგიისა და პოლარული კაჟშირგამბმულობის სკოლა. აქ სწავლობს 280 კურსანტი, რომელთა შორის ბევრია სამამულო ომის მონაწილე. (საკადესი).

უკრაინის საზამთრო კურორტები

მუშაობა განახლეს უკრაინის საზამთრო კურორტებმა. ვორზელის კურორტმა უკვე მიიღო ავადმყოფთა პირველი ჯგუფი — 75 კაცი. პუშჩევოდიცაში მუშაობა დაიწყო ფრონტელთა ოჯახების წევრთათვის მოწყობილმა 100-საწოლიანმა ტუბერკულოზის სანატორიუმმა.

ოდესაში იხსნება ლერმონტოვის კურორტი. ჩერკასში — სოსნოვკის ტუბერკულოზის სანატორიუმი. (საკადესი).

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოთა შორის ნოემბრის განმავლობაში კარგად იმუშავეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს—აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო კანტორამ და თბილისის სალტესარემონტო სახელოსნომ, რომელთაც გადაეცათ ჯილდოები. თბილისის სალტესარემონტო სახელოსნოს კოლექტივს (დირექტორი ამხ. მელიქიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბეჟანიშვილი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. სულნეკა) გადაეცა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და 15,000 მანეთი პრემია. აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივს (უფროსი ამხ. რევაზიძვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. იაკოკლეი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნაზარეული) გადაეცა საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის და ავტოტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და 10,000 მანეთი პრემია.

* * *

კავშირგამბმულობის რაიონული კანტორების კოლექტივთა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ნოემბერში, გამარჯვება მოიპოვა დუშეთის რაიონული კანტორის კოლექტივმა (უფროსი ამხ. ლოთიკაშვილი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ოსიფაშვილი), რომელსაც დარჩა წინა თვეში მოპოვებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და გადაეცა პრემია 2,000 მანეთის რაოდენობით.

სოციალისტური შეჯიბრების ეიურომ აღნიშნა აგრეთვე კავშირგამბმულობის სამტრედიისა და ბოგდანოვკის რაიონული კანტორების მუშაობის გაუმჯობესება ნოემბერში ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოებს ყურადღებას

და არჩევნები

უფრო ახლო ახალგაზრდობასთან

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ათასამდე ახალგაზრდა მუშაობს. მათგან ნახევარზე მეტი კომკავშირელია. ამ ახალგაზრდობისადმი ხელმძღვანელობის, მისი იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და ფრონტის დასახმარებლად დარაზმვის საკითხები განიხილა ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა.

კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ლაზარაშვილმა თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ ახალგაზრდობისათვის ქარხანაში ეწყობოდა ლექციები და მოხსენებები. ახალგაზრდობა ღრმად სწავლობს ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, ბელადის საოქტომბრო მოხსენებასა და ბრძანებას.

აქტივის თეორიული დონის ასამაღლებლად კომკავშირის კომიტეტთან ჩამოყალიბებულია სკოლა, რომელიც აერთიანებს 25 კაცს და თვეში 3-ჯერ მეცადინეობს. 33 კომკავშირელი აგიტატორია. ბევრი მათგანი წარმატებით მუშაობს. მაგალითად, მოწინავეა აგიტატორი ჭუმბურიძე. ის თავის ყოველდღიურ აგიტაციას მჭიდროდ უკავშირებს საწარმოო საკითხებს, მკზნებარე ბოლშევიკური სიტყვით და პრაქტიკული საქმეებით რაზმავს ახალგაზრდობას ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად. თვითონ ჭუმბურიძე ყოველდღიურ გეგმას 300-350 პროცენტით ასრულებს. საამქროს კომკავშირელები და ახალგაზრდობა ფრონტულად შრომობენ. ისინი დაკალებებს 200 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციას შეეტატა 115 მოწინავე ახალგაზრდა. მათი დიდი ნაწილი ქარხნის მოწინავე სტახანოველები არიან და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ახალგაზრდულმა ბრიგადებმა და ცალკე კომკავშირელებმა დიდი ბელადის საოქტომბრო მოხსენების პასუხად ახალი ვალდებულებანი იკისრეს და პირნათლადაც შეასრულეს. მაგალითად, სატენდერო საამქროს კომკავშირელებმა სტალინური კონსტიტუციის დღისადამის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ერთი ტენდერი.

ქარხანაში 42 ფრონტული და 11 ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობს. მათ 76 კაცი გაათავისუფლეს სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. ფრონტულად მუშაობენ ბელომვილის, ოსიპოვის, შეხველიას, ბროიელის, ათანასოვის ბრიგადები. სამონტაჟო საამქროში ბარატების ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც წელს ჩამოყალიბდა, 250-300 პროცენტით ასრულებს დღიურ დავალებას.

კომკავშირის კომიტეტის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც.

სუსტია ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღზრდელობითი მუშაობა. ამის შედეგად ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ვმუშაობთ ახალმოსულებთან, სათანადოდ ვერ ვეხმარებით მათ პროფესიის დაუფლებაში. ამიტომ არის, რომ ბევრი ახალგაზრდა საწარმოო დავალებებს ვერ ასრულებს.

მოხსენების ორგვლივ კრებაზე მონაწილეობა მიიღო 7 ამხანაგმა.

კონფერენციამ აირჩია კომკავშირის კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით. კომიტეტი მდივნად არჩეულია ამხ. დ. ეორუკიანი. ავრეთვე არჩეულ იქნა დელეგატები კომკავშირის რაიონული კონფერენციისათვის.

კომკავშირის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ალვზარდოთ მაღალკვალიფიციური კადრები

კომკავშირის კომიტეტის მდივნის მეორე მოადგილემ ამხ. ზ. ჯიბლაძემ თვითი საანგარიშო მოხსენება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების გაშუქებით დაიწყო.

რა გაკეთა კომკავშირის ორგანიზაციამ ამ დარგში რვა თვის მანძილზე?

— თვითეული სტუდენტი სწავლობს ამხანაგ სტალინის წიგნს, — „ანალიზდა მომხსენებელმა. კომკავშირის კომიტეტს განზრახული აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დამამრებით მოკლე ხანში მოაწყოს ლექციები და მოხსენებები ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შემსწავლელთა დასახმარებლად.

კიდევ რამდენიმე წუთს ილაპარაკა მომხსენებელმა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც გასწია თბილისის სანდიციონო ინსტიტუტის კომკავშირულმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში.

დანარჩენი დრო დასჭირდა იმ ნაკლოვანებათა მხილებას, რაც ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტს ჰქონდა თავის მუშაობაში.

კომკავშირის კომიტეტს დაავიწყდა თავისი უპირველესი ამოცანა: ბრძოლა მაღალი აკადემიური წარმატებისათვის. დირექციამ ჩამორჩენილობისათვის ინსტიტუტიდან გარიცხა 124 სტუდენტი. მათ შორის ბევრი იყო კომკავშირელი. 300 კაცი დატოვებულია იმავე კურსზე, მათგან 201 კომკავშირელია. კომკავშირის კომიტეტის ზოგიერთი წევრი და კომკავშირელი აქტივისტები იმის ნაცვლად, რომ სამაგალითონი ყოფილიყვნენ სწავლასა და დისციპლინაში, თვით ჩამორჩენდნენ. პედიატრიული ფაკულტეტის მეორე კურსის ჯგუფორგი მ. თუთბერიძე და სამკურნალო ფაკულტეტის მეოთხე კურსის „აგიტატორი“ ა. ქუთელია საგნების ჩაუბარებლობისათვის დატოვებული არიან იმავე კურსზე, ხოლო კომკავშირის კომიტეტის ორი წევრი აკადემიური ჩამორჩენილობისათვის ინსტიტუტიდან გარიცხეს.

სუსტად ეხმარება კომკავშირის კომიტეტი ჯგუფორგებს. მათი დახმარების საქმე კომკავშირის კომიტეტმა მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი თათბირის მოწვევით ამოსწურა. ამიტომ ბევრი ჯგუფორგი თავს ვერ ართმევს მუშაობას.

უკეთესი მდგომარეობა არც შინაკომკავშირული მუშაობის დარგშია. ხშირად კომკავშირული კრებები მოუმზადებლად და უხარისხოდ ტარდება. ზოგიერთი კურსის კომკავშირული ბიურო დაგვიანებით ჰკრეფს საწევრო ანარიცხებს.

ძირითადად ამ ნაკლოვანებათა შესახებ ლაპარაკობდნენ კონფერენციაზე გამოსული მოსაალის ოსტატის ჩოქოლი ქვაჩახიას გამოცდილების გამოყენებით.

ამხანაგ **სტალინის** ისტორიული მოხსენებისა და ბრძანების პასუხად მერგოლურმა ამოუღია ამ იკისრა მომავალ წელს ჰექტარზე მოიყვანოს 800 ფუთი სიმინდი. ნაკისრი ვალდებულების შესრულებას იგი უკვე შეუდგა: აგროვებს სასუქს, სწმენდს ნაკვეთს და სხვ.

შ. ჯოლოგუა

720 ფუთი სიმინდი ჰექტარზე

ბალი („**კომუნისტის**“ **კორესპონდენტისაგან**). ბალის რაიონის სოფელ რეფი-შუმელეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის მერგოლურმა ტერენტი აბულაძემ ერთ ჰექტარზე 720 ფუთი სიმინდი მოიყვანა.

მერგოლურმა აბულაძემ სიმინდის სარეკორდო მოსავლის მიღებას მიაღწია სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ბრიგადირის, სიმინდის უხვი მოსავლიანობისა და ბრძანებისადმი ერთგულებისათვის.

გეგმების შესრულება

ხობის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, ყველის, კვერცხის, ტყავეულეულის ჩაბარების 1944 წლის ვალდებულებანი. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ახალი ბიბულის, ხობის და ქარიატის სასოფლო საბჭოებმა. კოლმეურნეობებმა ციტრუსების ნაყოფის ჩაბარების გეგმა შეასრულეს 114,3 პროცენტით. შესრულებულია სოიის ჩაბარების გეგმაც. კოლმეურნეებმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 37 ტონა სოიი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი სიმონიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჩოკოტრაია

* * *

საგარეჯოს რაიონმა ვადამდე შეასრულა 1944 წლის დამზადებათა გეგმები. ხორცისა და რძის დამზადების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, ბრინჯი ყველისა—131 პროცენტით, მატყლის—109, კვერცხის — 128, ცხვრის ტყავის—172, ღორის ტყავის—222, მარცვლეულისა — 101, მზესუმზირას — 137, თივის — 105, კარტოფილის — 100, ბოსტნეულის—101 პროცენტით. 1945 წლის ანგარიშში ჩაბარებულია 516 ცენტნერი ხორცი, 104.000 ცალი კვერცხი.

საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი ჟურაბეშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მუჩიაშვილი

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა სოიის ჩაბარების 1944 წლის გეგმა 25 დეკემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს. მტსე-ების ნატურანაზღაურების ანგარიშშე ჩაბარებულია 676 ცენტნერი, გეგმის 100 პროცენტი. კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს სახელმწიფოს 1.526 ცენტნერი სოია.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი კილასონია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბერია

* * *

ყასპის რაიონმა მთლიანად შეასრულა ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა

საბჭოთა მუსიკალური კულტურის აღმავლობის მძლავრი დემონსტრაცია

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი უ. ჰაჯიბეკოვი; აზერბაიჯანელი კომპოზიტორები (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. ფახარიანი, ა. აბასოვი, ო. ნიკოლსკაია, ხ. ალესკეროვი, ა. რზაევა, ადილ-გერაი, შ. ახუნდოვი, ფ. ამიროვი; სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ა. ხაჩატურიანი; სომხეთის კომპოზიტორები (მარცხნიდან მარჯვნივ): რ. ატოიანი, გ. ტიგრანიანი, ა. ადამიანი, გ. ეგიაზარიანი, ა. სტეფანიანი, ა. კოჩარიანი, ა. ხუდოიანი, ა. ტერგევონდიანი, ზ. ვართანიანი, ე. მირზოიანი, რ. სტეფანიანი, გ. ადამიანი, ა. ტონეკიანი, ა. მანუკიანი, ვ. არარატიანი.

ფოტო ელ. გინზბურგისა

წარუშლელი შთაბეჭდილება

წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადამ.

დეკადაზე ერთხელ კიდევ გამოჩნდა თავისი დიდებით ჩვენი ეპოქის ახალ-ახალი გამარჯვებანი ხელოვნებაში და ეს გასაგებიც არის, რადგან არასდროს ხელოვნებას და მის განვითარებას არ ჰქონია იაეთი ხელისშემწყობი პირობები, როგორც დღეს, სტალინის დიად ეპოქაში.

„სიმღერა მხოლოდ იქ იმღერება,
სადაც ფრიალებს სტალინის დროშა“.

დღეს, როცა ჩვენი ხალხი დაძაბულ ბრძოლას აწარმოებს ბნელეთის ურდოებთან, ასეთი დიდი გამარჯვება ჩვენი ხელოვნებისა კიდევ ერთი შესანიშნავი მაჩვენებელია საბჭოთა ხალხის სულის ძლიერებისა, დიდი შემოქმედებითი პოტენციისა, ჩვენი ქვეყნის დიდი სიმტკიცისა.

დეკადის განსაკუთრებულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ახალ-ახალ ნიჭიერ შემოქმედთა გამოჩენა ხელოვნების ასპარეზზე, და ამ ახალი ძალების მოვალეობაა უფრო მეტის მხნეობით და მუშაობით აამაღლონ თავიანთი ოსტატობა, რათა სისავსით მიეძღვნან საშობლოს, როგორც მისი სასტიკი ბრძოლების, ისე მომავლის დიდი მშენებლობის დღეებისა შესაფერი ნაწარმოებნი.

რაც შეეხება ქართულ ხელოვნებას, მე ვისურვებდი, რათა მომავალ დეკადაზე სხვა ჩვენს ძველს და ახალ მიღწევებთან ერთად გვენახა ზოგი ის ბრწყინვალე ნიმუშებიც ჩვენი ხალხის წარსული მიღწევებისა, რომელნიც დეკადაზე ჩვენ ვერ ვნახეთ და რომელთა შეაწყალა და გამოჩენა ასეთ დიდ ასპარეზზე, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საბჭოთა მუსიკის დეკადა იყო, — არა თუ საჭიროა, არამედ სავალებულოც.

ჩვენი სახელოვნო ორგანიზაციების და ხელოვანთა წმიდა ვალია, დაუყოვნებლივ წარმართონ შესაფერი მუშაობა იმ დიდი სახალხო საგანძურის ასათვისებლად, რომლითაც ქართველი ერი სამართლიანად თავს იწონებდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე კულტურული კაცობრიობის წინაშე, და რომელსაც ჩვენ მთელი სისავსით ჯერ კიდევ არა ვართ დაუფლებულნი.

გიორგი ლეონიძე

აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი

27 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მონაწილეთა — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. პროგრამაში იყო ვოკალური, ინსტრუმენტალური, ბალეტის ნომრები, ხალხური სიმღერები და ცეკვები.

კონცერტის პირველი განყოფილება დაიწყო აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტ გ. ა. ჰაჯიბაბაბეკოვის გამოსვლით. მან წარმატებით შეასრულა აშუღის სიმღერა უზეირ ჰაჯიბეკოვის კანტატიდან „სევგილი ჯანანი“, რომელიც მიძღვნილია დიდი სტალინისადმი. სომხეთის სახალგაზრდა კომპოზიტორმა ა. არუთინიანმა ფორტეპიანოზე დაუკრა თავისი ნაწარმოები „ექსპრომტი“, სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტ. ხაჩატურიანმა შეასრულა ანუშის არია ტიგრანიანის ამავე სახელწოდების ოპერიდან და კომიტასის „მოღრუბლულია“.

საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დ. მჭედლიძემ იმღერა ცანგალას კუპლეტები ოპერა „დაისიდან“. კონცერტის პირველ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა დ. ანდღლაძემ, პ. ამირანაშვილმა, ე. სოხაძემ, ლ. ავალიანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. ხარაძემ, მსახიობმა ზ. რაგიმოვამ, სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტ. ხაჩატურიანმა, ერევნის ოპერის სოლისტმა ლ. ავეტისიანმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტმა ნ. მიქელაძემ.

ვოკალური ნომრები შესცვალა ხალხურმა ცეკვებმა. დარბაზმა მხურვალე ტაშით დაუჯილდოვა აზერბაიჯანული ხალხური ცეკვების შემსრულებელნი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ამდულაევი და მსახიობი ლეილა ჯავანშიროვა.

კონცერტის მეორე განყოფილების დაწყების წინ სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წევრმა, მუსიკალურ დაწესებულებათა მოაზრესამმართველოს უფროსმა ამხანაგმა სურინმა. მან აღნიშნა უდიდესი მიღწევები, რაც მოპოვებული აქვთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორებს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში.

— ეს მიღწევები, — ამბობს ამხ. სურინი, — შესაძლებელი გახდა იმ უდიდესი მზრუნველობის შედეგად, რასაც საბჭოთა ხელოვნებისადმი იჩენენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი. დეკადის მონაწილენი განსაკუთრებით მოხარული არიან და ამაყობენ იმით, რომ დეკადის კონცერტები გაიმართა საქართველოს დედაქალაქში, იმ რესპუბლიკაში, რომელმაც მსოფლიოს მისცა უდიდესი აღმიანი, ჩვენი გენიალური ბელადი და მხიდართმთავარი ამხანაგი **სტალინი.**

დეკადის მსვლელობაში თვითეული ჩვენგანი გრძნობდა საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანიზაციებისა დიდ დახმარებასა და გულისხმიერებას. ამის გამო ამხ. სურინი მხურვალე მადლობას გამოსთქვამს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ვ. ბაქრაძისადმი.

კონცერტის მეორე განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის სს რესპუბლიკის კომიტასის სახელობის დამსახურებულმა ანსამბლმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ა. გაბრიელიანის; ნ. ბალაბანიანის, მ. ტერიანისა და ს. ასლამაზიანის მონაწილეობით, საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ნაჯაშიძემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. ჭაბუკიანმა, ბალეტის სოლისტმა ჰ. ალექსიძემ, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა აგიგატ რზაევამ, ხან-შუშინსკიმ, სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტ. საზანდარიანმა, თბილისის ოპერის სოლისტმა ი. ფალიაშვილმა, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლ. გვარამაძემ, საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. სუხიშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა აიკანუშ დანიელიანმა და ბულ-ბულ მამედოვმა.

გიერთიანებულ სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდნენ სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. კილაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ნიაზი, შ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი და მირცხულავა.

* * *

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, გ. სტურუა, ვ. ბაქრაძე, ვ. ბუჯიაშვილი, ს. ხოშტარია, ზ. ჩხუბიანიშვილი, ზ. კეცხოველი, ვ. ეგნატაშვილი.

დეკადის შედეგებისათვის

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკის დეკადამ გვიჩვენა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემოქმედებითი და შემსრულებელი ძალები და ცხადყო ამ სამი რესპუბლიკის მუსიკოსების დიდი მუშაობა ხელოვნების ფრონტის მუსიკალურ უბანზე დიდი სამამულო ომის წლებში. დეკადის კონცერტები მოიცავდნენ შემსრულებელთა და ნაწარმოებთა დიდ რაოდენობას. ეს კონცერტები მოწმობს იმას, რომ ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნება, ისე როგორც საბჭოთა ხელოვნება მთლიანად, ინტენსიურად ვითარდებოდა ომის წლებში და საბრძოლო იარაღი გახდა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლაში.

სამ რესპუბლიკას შორის თვითეული გამოვიდა მუსიკალური ხელოვნების ფართო უბანზე—დაწყებული წარსული და ჩვენი დროის ხალხური მუსიკით და გათავებული კამერული და სიმფონიური ნაწარმოებებით, დაწყებული სახალხო მომღერლებით, ანსამბლებითა და კოლექტივებით და გათავებული მუსიკოს-სოლისტებით, სიმფონიური ორკესტრებით, ტრიოთი, კვარტეტებით. ფართოა აგრეთვე გრძნობების, აზრებისა და იდეების დიაპაზონი, რომლებიც ჩაქსოვილია ომის დღეებში შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებში. ყოველ ნაწარმოებში გარკვეულად იგრძნობა კომპოზიტორების მისწრაფება გამოუნახონ მუსიკალური გამოსახულება თავიანთ პატრიოტულ გრძნობებს, დაგვიხატონ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ, გამოაცალონონ ის იდეებიც სიდიადე, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი დიდი სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისა და მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარს.

საერთოდ, დეკადით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილება განსაკუთრებით ძლიერი და სასიხარულოა. სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ბრწყინვალე მრავალსაუკუნოვანი კულტურა წარმოადგენს წინამძღვარს ამ სამი რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის. აზერბაიჯანელების, ქართველებისა და სომხების უაღრესად მდიდარი მუსიკალური ფოლკლორი—ეი ის საგანძური, რომელიც ამიერკავკასიის მუსიკისათვის უზრუნველყოფდა დაუშრეტელ შესაძლებლობას.

სამი რესპუბლიკის ხელოვნებას, რომელიც თავისუფლად ვითარდება საბჭოთა ხელისუფლების წლებში, უკვე შესაძლებლობა აქვს შეუდგეს დიდი პრობლემების გადაჭრას. დეკადამ უხვი მასალა მოგვცა იმისათვის, რომ ვიმსჯელთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მუსიკალური ხელოვნების ახლანდელი მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების გზებზე. ეს მსჯელობა დაკავშირებულია პროფესიონალიზმისა და ოსტატობის, ენისა და ეროვნული სტილის, ფორმისა და იდეურ-ემოციური შინაარსის საკითხებთან. თუმცა ბევრი ამოცანა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის მუსიკოსებისათვის საერთოა, მაგრამ თვითეული მათგანის მუსიკალურ ხელოვნებას განვითარების საკუთარი თავისებური გზები აქვს.

მიემართოთ სომხეთს. მისი მუსიკალური კულტურის გამოჩენილი წარმომადგენელია არამ ხაჩატურიანი, რომლის სახელიც უკვე დიდი ხანია ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. ხაჩატურიანის შემოქმედებაში ჰარმონიულად არის შეხამებული უდიდესი ბუნებრივი ნიჭი და ბრწყინვალე კომპოზიტორული ოსტატობა, ეროვნული ენა და მოწინავე ფორმა, აზრის იდეური სიღრმე და გამოთქმისა და განწყობილების ემოციურობა. დეკადის დღეებში ნაჩვენები მისი მეორე სიმფონია ჩვენი დროის ერთერთ ძვირფას მუსიკალურ დოკუმენტს წარმოადგენს.

სომეხ კომპოზიტორთა შორის მკაფიოდ გამოიჩეოა გრიგორ ეგიაზარიანი, რომლის ნაწარმოებთაგან დეკადის კონცერტებში ნაჩვენები იყო სიმფონიური პოემა „სომხეთი“ და კონცერტი ვიოლინისთვის ორკესტრიანად. ამ კომპოზიტორს აქვს საინტერესო ინდივიდუალობა და ნაზი გემოვნება. იგი თავის შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობს ეროვნული სტილის ამოცანებს და საუცხოოდ ჭფლობს საორკესტრო ხელოვნებას.

ეუქვეია სომხეთის ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორის არო სტეფანიანის სიმფონიის დიდი ღირსება. თავისი ენით ეს სიმფონია, სომეხ კომპოზიტორების სიმფონიურ ნაწარმოებთა უმეტესობისაგან განსხვავებით, დაკავშირებულია არა სომხური ხალხური სიმღერისა და ცეკვის დოეანდელ ინტონაციებთან, არამედ ძველ სომხურ სიმღერებთან, რაც მთელ სიმფონიას თავისებურ ღრმა და დიდებულ ხასიათს ანიჭებს. ძალიან საინტერესოა არო სტეფანიანის კამერული და განსაკუთრებით ვოკალური თხზულებანი.

არნო ბაბაჯანიანის საფორტეპიანო კონცერტს, ალექსანდრე არუთინიანის უვერტიურას და ედუარდ მირზოიანის პოემას თუმცა მთელი რიგი ნაკლოვანებანი აქვთ ფორმის, სტილისა და ენის მხრივ, მაგრამ ამასთან ერთად ისინი მოწმობენ ამ სამი ახალგაზრდა კომპოზიტორის მკაფიო ნიჭს. მათ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ და კარგი სკოლა გაიარონ, რათა მიაღწიონ თავიანთი ნიჭის სრულ განვითარებას.

საერთოდ სომხური მუსიკის კონცერტებმა გვიჩვენეს სიმფონიური მუსიკის მაღალი დონე, აგრეთვე ის, რომ კომპოზიტორები უაღრადღებას უთმობენ სხვადასხვანაირ კამერულ ფორმებს და ცდილობენ ენისა და სტილის პრობლემა გადაჭრან სომხური ხალხური მუსიკის სტილთან მჭიდრო კავშირით.

დეკადის კონცერტებში საქართველოს მუსიკის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მივლენა იყო შალვა მშველიძისა და გრიგოლ კილაძის სიმფონიები, ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი და ი. ტუსკიას საეიოლინო კონცერტი.

კილაძისა და მშველიძის უკვე წინანდელმა ნაშრომებმა (პირველის „განდეგილმა“ და მეორის „ზვიადაურმა“) ეს ორი კომპოზიტორი წარმოგვიდგინეს, როგორც დიდი ქართველი სიმფონისტები. ორივეს მიდრეკილება აქვს მონუმენტური ფორმებისადმი, დიდი იდეურ-მხატვრული კონცეპციებისადმი და რთულ შემოქმედებითს პროცესში ამქლევნებენ თავიანთ დამოკიდებულებას გარემო სინამდვილისა და ჩვენი დროის მოვლენებისადმი. ქართული მუსიკის პოლიფონიური საფუძველი, მისთვის დამახასიათებელი მიდრეკილება დიდი ბგერითი ნაშრევებისადმი, მონუმენტალიზმისადმი— ყოველივე ეს წარმოადგენს იმ უხვ ბაზას, რომელზედაც შენდება კილაძისა და მშველიძის სიმფონიები.

უაღრესად მაღალი შეფასების ღირსია ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი. ეს არის დიდი ოსტატობით დაწერილი ბრწყინვალე ნაწარმოები, ვირტუოზული და ამასთან ერთად პოეტური, იგი უეჭველად თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს ამ გვარეობის საბჭოთა ნაწარმოებებს შორის. ინტერესსა და ვირტუოზულ ბრწყინვალეობას არ აღის მოკლებული აგრეთვე ი.ი.ი ტუსკიას საეიოლინო კონცერტი.

განსაკეიფრებელია ის წარმატებანი, რომლებიც აზერბაიჯანის ახალგაზრდა კომპოზიტორებს მოუპოვებიათ უკანასკნელ წლებში. ეს შეეხება, პირველ რიგში, სიმფონიურ მუსიკას და უმთავრესად ყარა ყარაევის, სოლტან ჰაჯიბეკოვის და ჯოვზეთ ჰაჯიევის ნაშრომებს. საორკესტრო წერის ხელოვნებისა და დიდი სიმფონიური ფორმის საუცხოო ფლობა, მელოდიური მასალის სიმდიდრე და მკაფიობა, ჰარმონიული აზროვნების სიმოფელე— აი რა ახასიათებს ამ კომპოზიტორების შემოქმედებას და მოწმობს აზერბაიჯანის მუსიკალური კულტურის დიდ ზრდას.

სამწუხაროდ, თავისი ფორმალური და მხატვრული ღირსებებით უაღრესად რთულსა და საინტერესო ნაწარმოებებში, როგორც, მაგალითად, ყარა ყარაევის სიმფონიაში, დასმული და გადაჭრილი არ არის ერთერთი უაღრესად მაღალი შემოქმედებითი პრობლემა — ეროვნული ენისა და ეროვნული სტილის პრობლემა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პრობლემას ახლო მომავალში მოჰკიდებენ ხელს აზერბაიჯანელი კომპოზიტორები.

ნახსენებ აზერბაიჯანელ კომპოზიტორებს გარდა, დიდი გულთბილობით უნდა აღინიშნონ ახალგაზრდა ელზა მაილიანი—„გმირული უვერტიურის“ ავტორი, აგრეთვე ფიქრეთ ამიროვი, აშრაფ აბასოვი და მამედ ისრაფილზადე.

დეკადის კონცერტებში ფართოდ იყო წარმოდგენილი აგრეთვე სამივე რესპუბლიკის ძველი ოსტატების—უზეირ ჰაჯიბეკოვის, დიმიტრი არაყიშვილისა და ანუშავან ტერ-გევონდიანის ნაწარმოებნი.

დაწერილებით არ შეგჩერდებით სამი რესპუბლიკის შემსრულებელთა კულტურაზე. დავასახელებთ მხოლოდ იაეთ მნიშვნელოვან შემსრულებლებს, როგორიც არიან ოიკანუშ დანიელიანი, ტატევიკ სახანდარიანი, ეკატერინე სოხაძე, ბულ-ბული. აღვნიშნავთ აგრეთვე დირიჟორთა კადრების წარმატებით ზრდას, რომელთა შორის ახლა შეიძლება ბევრი საინტერესო მუსიკოსი დავასახელოთ, რაგორც, მაგალითად, თავრიზიანი, ჩარენიანი, აზმაიფარაშვილი, დიმიტრიადი, ნიაზი, ჰასანოვი, ბადალბეელი.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა მუსიკოს დეკადა მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკების, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მუსიკალურ ცხოვრებაში. დეკადა მოწმობს საბჭოთა ამიერკავკასიის სამი მოწინავე მუსიკალური კულტურის ინტენსიურ განვითარებას დიდი სამამული ომის წლებში.

ალ. გაიაზოვი

ხალხთა თანამეგობრობის ზეიმი

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა აზერბაიჯანელ, ქართველ და სომეხ ხალხთა კულტურული შემოქმედების, ჩვენი ბარადიული ძმობის, ვეკაცური თანამეგობრობის ბრწყინვალე ზეიმად გადაიქცა.

ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მხოლოდ აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტებს დავესწარი. სიმოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ როგორც მუსიკამ, ისე შემსრულებელთა კოლექტივმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დეკადაზე მე მოვისმინე აზერბაიჯანული მრავალფეროვანი ხალხური სიმღერა (აშუღების ჩართვით), სიმფონიური და კამერული მუსიკა.

მე უფრო იმან გამახარა, რომ ჰაჯიბეკოვის და ნიაზის გვერდით ნორჩ კომპოზიტორ ქალთა პროფილებიც დავინახე; საკუთნოებით ჩრდილში მყოფი აზერბაიჯანელი ქალი ხალხში გამოდის და თავის მშვენიერ სახეს მზეს უპირბადოდ უჩვენებს, რა კარგები იყვნენ: ლეილა ჯავანშიროვი, ზაჰრა რაჰიმოვი, ჯავაირა შუშინსკაია და აზერბაიჯანული მოდამების უბადლო შემსრულებელი ბულ-ბულ მამედოვი და ბუნიატზადე.

ის დამსახურებული გამარჯვება, რომელიც წილად ხვდა ამ ხელოვანთ, დამადასტურებელია მათი თავდადებული შემოქმედებითი შრომისა, შეუჩერებელი ზრდისა, დიდი მხატვრული კულტურისა.

მხოლოდ ჩვენს დიად თანამედროვეობას შეუძლია და შეჰფერის კულტურის ასეთი ზეიმი. მხოლოდ დიდი სტალინის სიბრძნით განათებულ ქვეყანაში იბადებიან ასეთი უჩრდილო და ლაღი სიმღერები. ამიტომაც არის, რომ ამ დეკადაზე ჩვენ ყოველწუთიერად გვესმის უტკბესეს მელოდიებში ჩაქსოვილი უსაყვარესი სახელები დიდი **სტალინისა** და მისი უერთგულესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი **ბერიასა**, რომელთაც აღზარდა ამიერკავკასიის ხალხები ურღვევი ურთიერთმეგობრობის სტალინური გრძნობით.

ი. გრიშაშვილი

ხალხურობა—გამარჯვების საწინდარია

თბილისში მოწყობილმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადამ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

განსაკუთრებით აღმფრთოვანა სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორთა შემოქმედებამ, რომელსაც ასე ფართოდ პირველად გავეცანი. კომპოზიტორთა ნაწარმოებებში მკაფიოდ სჩანს ხალხური მუსიკალური კულტურის ღრმა კვალი. ეს კიდევ უფრო მშვენიერს ხდიდა მათ მხატვრულ პროდუქციას, ხალხურობა, სასადავე, სიმართლე ნაწარმოებია გამარჯვების საწინდარია.

სახელოვანი კომპოზიტორები სტალინური პრემიის ლაურეატები არამ ხაჩატურიანი და უზეირ ჰაჯიბეკოვი ღირსნი არიან იმ უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემისა, რასაც მათდამი იჩენს საბჭოთა მუსიკალური საზოგადოებრობა.

დეკადამ გვიჩვენა ქართული მუსიკალური კულტურის დიდი ზიღწევები. ჩვენს კომპოზიტორებს ვუსურვებ კიდევ უფრო გაძლიერონ მუშაობა ხალხური შემოქმედებითი წიაღიდან ძვირფასი საუნჯის გამოსაცალინებლად და გამოსაყენებლად.

შ. ღამბაშიძე

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ქართული მუსიკის მეოთხე კონცერტი

28 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგა ქართული მუსიკის მეოთხე კონცერტი.

კონცერტის პირველ ნომრად თბილისის ოპერისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ანსამბლის გაერთიანებული გუნდის მიერ შესრულებულ იქნა სტალინური პრემიის ლაურეატის, საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. კილაძის ნაწარმოები „სიმღერა ბერიაზე“. ამ ნაწარმოებში გადმოცემულია ხოტბა დიდი სტალინის ერთგული მოწაფისა და უახლოესი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი ბერიასადმი.

შემდეგ შესრულებულ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ბალანჩივაძის სიმფონია სი-მაჟორ. ქართველ კომპოზიტორთა საშუალო თაობის წარმომადგენელს ა. ბალანჩივაძეს კარგად იცნობს საზოგადოება მის მიერ შექმნილი მრავალი რომანსით, საფორტეპიანო ნაწარმოებით, ოპერით „ბედნიერება“, განსაკუთრებით „მთების გული“. ა. ბალანჩივაძე მტკიცედ მიჰყვება მის მიერ თავიდანვე არჩეულ მთავარ მიმართულებას მუსიკაში, რაც მაესლის ლირიკულად დამუშავებაში გამოიხატება. მის პირველ სიმფონიაში ძლიერად ეღერს გმირული სულისკვეთება, რომლითაც აღსავსეა საბჭოთა ხალხი იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებს ვერაგი მტრის წინააღმდეგ. სიმფონია ოთხი ნაწილისაგან შესდგება. იგი იწყება ბრძოლის ჰანგებით. შემდეგ ასახულია ჩვენი გარდუვალი გამარჯვების ღრმა რწმენა, ნაწარმოების ფინალში კი მოცემულია სამართლიანობის ზეიმი.

სიმფონიის ავტორი ა. ბალანჩივაძე დარბაზმა მხურვალე ხანგრძლივი ტაშით დაუჯილდოვა.

კონცერტის მეორე განყოფილება გაიხსნა კომპოზიტორ ოლოგ ბარამიშვილის ეოკალურ-სიმფონიური ციკლით „სიმღერები სამამულო ომზე“, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შესდგება. ვოკალური პარტიები შეასრულეს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ნ. ცომაიამ და პ. ამირანაშვილმა.

ო. ბარამიშვილის „სიმღერები სამამულო ომზე“ გამოირჩევა საკუთარი შემოქმედებითი მეტყველებით. ამ ნაწარმოებში ძველებურ მუსიკალური ჰანგებით ასახულია ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ძლიერია ნაწარმოების მეოთხე ნაწილი, სადაც ავტორს მოცემული აქვს პარტიზანთა შურისძიება მტარვალებისადმი. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ კომპოზიტორ ო. ბარამიშვილს.

შემდეგ შესრულებულ იქნა პირიმზეს არია კომპოზიტორ ა. კერესელიძის ოპერიდან „ბაში აჩუკი“ — აკაკი წერეთლის ნაწარმოების მიხედვით. პირიმზეს არია სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დიდი წარმატებით შეასრულა საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. ხარაძემ. კომპოზიტორი და შემსრულებელნი დამსწრეებმა ტაშით დაუჯილდოვეს.

ქართული მუსიკის მეოთხე კონცერტის უკანასკნელ ნომრად შესრულებულ იქნა კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის სიმფონიური პოემა „გამზრდელი“ — აკაკი წერეთლის პოემის მიხედვით. ამ ნაწარმოებით ავტორმა ცხადყო ტექნიკური ოსტატობის სიმწიფე. პოემაში მკაფიო მუსიკალური მეტყველებით ასახულია ადამიანის მაღალი მორალური თვისებები.

ქართული მუსიკის მეოთხე კონცერტის მთელ პროგრამას დირიჟორობდა საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. დიმიტრიადი. მან ერთხელ კიდევ გამოავლინა საღირიჟორო ოსტატობის მაღალი კლასი.

სასიხარულო მოვლენა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

დეკადის მსვლელობამ დაამტკიცა, თუ რა დიდი საქმეა გაკეთებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აზერბაიჯანს სიმფონიები, ოპერის, საროდანსო და სხვა ჟანრის მუსიკა შეუქმნია, აღუზრდია შემსრულებელთა ძლიერი კადრები: მუსიკოსები, დირიჟორები, კომპოზიტორები.

საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებენ ხალხური შემოქმედების ჯგუფები.

უნდა მიეულოცოთ აზერბაიჯანის ხალხს და აზერბაიჯანის მუსიკის პიონერებს, — უზეირ ჰაჯიბეკოვს, შევეეთ ხანუმ მამედოვას, ბულ-ბულს ასეთი დიდი წარმატება.

სომხეთს მუყაითად ჩაუტარებია სამუსიკო მშენებლობა, შეუქმნია თავისი ახალგაზრდა კადრები, საოპერო, სიმფონიური მუსიკა, დახელოვნებული ორკესტრი ჯგუფების ძველ ოსტატთა ხელმძღვანელობით, აღუზრდია აგრეთვე პირველი ხარისხის დირიჟორები. სომხეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებნი ხელოვნების დიდ სიმაღლეზე დგას. სომეხი ხალხის მრავალფეროვანი სამუსიკო მასალა, კომიტასით დაწყებული და სპენდიაროვითა და ხაჩატურიანით გათავებული, მაღალი ოსტატობის ნიშანს ატარებს.

საქართველოს საოპერო ხელოვნებას ძლიერი ტრადიცია აქვს. მ. ბალანჩივაძის, ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შემკრებთა — ჩხიკვაძისა და კ. ფოცხვერაშვილის მიერ ძვირფასი განძია შექმნილი. ამას სათანადო გამოყენება უნდა.

ა. ბალანჩივაძე, გ. კილაძე, შ. მშველიძე, ი. ტუსკია, შ. აზმაიფარაშვილი, დ. თორაძე, ა. მაჭავარიანი, ა. ანდრიაშვილი, ვ. გოკიელი, კ. მელიქიშვილი-ეუტიცესი, შ. თაქთაქიშვილი და სხვები თვალსაჩინო ძალებია. მაგრამ მათ მუშაობას უფრო მეტი ყურადღება უნდა ჰქონდეს ხალხურ შემოქმედებასთან. ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს გაკეთებული.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ის უდიდესი მზრუნველობა, რასაც იჩენენ ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა შემოქმედებითი ძალებისადმი.

ალ. ფუფუნავა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ბათუმის ანსამბლი ასრულებს აჭარულ ცეკვას.

ფოტო ელ. გინზბურგისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ჰოლანდიაში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან მდინარე მაასის გასწვრივ მდებარე რაიონში, ტილბურგის ჩრდილოეთით და ვენლოს ჩრდილოეთით. გაფთრებული ბრძოლები გრძელდება გრანმენილსა და მანეში. მოკავშირეებმა მოიგერიეს გერმანელთა გადამწყვეტი იერიშები ორ მილზე ლიერნეს ჩრდილო-დასავლეთით და იუმენის მახლობლად (ბელგია). მოწინააღმდეგის მეწინავე ჯავშან-სატანკო ნაწილებს, რომლებიც როშეფორის მხრიდან სელის მიმართულებით მოიწევენ წინ, მძიმე ზარალი მოუვიდათ.

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც სამხრეთიდან უტევენ, კონტაქტი დაამყარეს იმ ნაწილებთან, რომლებიც ინარჩუნებენ ბასტონს, პუნქტში, რომელიც დაახლოებით სამ მილზე იმყოფება ამ ქალაქის სამხრეთით. მოკავშირეთა ნაწილებმა, რომლებიც გარემოცვაში იმყოფებიან ბასტონის სექტორში, მძიმე ზარალი მიაყენეს მტერს. ბასტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმენდეს ინზენბორნი (ლუქსემბურგი) და სამ ადგილას გაივიდნენ მდინარე სიურში. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ეშდორფი, რინგელის მახლობლად მოგერიებულია მტრის ქვეითი ჯარის გადამწყვეტი კონტრიერიში. ეხტერნახის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარები გარს შეოერტყნენ ბოფორს და მოწინააღმდეგისაგან სწმენდენ ბერდორფს.

მოკავშირეთა ავიაციის დიდი შენაერთები აქტიურ დახმარებას უწევდნენ სახმელეთო ჯარებს და თავს ესხმოდნენ მტრის სამხედრო ობიექტებს. საჰაერო ბრძოლებში მოსპობილია მოწინააღმდეგის 90 თვითმფრინავი.

ლონდონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, მდინარე სერკიოს ხეობაში მოწინააღმდეგე განაგრძობდა იერიშებს, რის შედეგადაც მოკავშირეთა მეწინავე ნაწილებმა კვლავ რამდენადმე დაიხიეს უკან. ფრონტის დანარჩენ უბნებზე პატრულთა შეტაკება სწარმოებდა.

ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები ავსტრიაში, იუგოსლავიასა და ჩრდილოეთ იტალიაში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გუშინ დღის მეორე ნახევარში ინგლისის თვითმფრინავებმა კონცენტრირებული თავდასხმა მოახდინეს სარკინიგზო ცენტრ რაიდტზე გერმანიაში (15 მილზე დიუსელდორფის დასავლეთით).

სხვა შენაერთი 1.000-ზე მეტი თვითმფრინავის შემადგენლობით თავს დაესხა რკინიგზის ხიდებს, დამხარისხებელ სადგურებსა და რკინიგზის კვანძებს დასავლეთ გერმანიაში.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 27 დეკემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ აღმოსავლეთ ბოსნიაში გრძელდება გაფთრებული ბრძოლები ბიელინა-ჩელიჩის სექტორში, სადაც გერმანელებს გაფთრებული იერიშები მოაქვთ იმ მიზნით, რომ დაიკავონ კომუნიკაცია ამ პუნქტებს შორის.

ჩერნოგორიაში მატეშევოს რაიონში მთლიანად მოსპობილია გერმანელთა კოლონა. გერმანელთა დაჭაჭაბული ნაწილების მდგომარეობა ამ სექტორში სულ უფრო და უფრო მძიმე ხდება.

ჰერცეგოვინაში მოგერიებულია გერმანელთა გამოხდომა მოსტარიდან. უნის ზემოწელში იუგოსლავიელთა ნაწილებმა მოსპეს მტრის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი გორნი ლაპაცის და დობრო სელოს მისადგომებზე და ამ პუნქტებში შეიჭრნენ.

სლოვენიაში გერმანელები განაგრძობენ თავიანთი იერიშებს შტაიერის ოლქის განთავისუფლებული ტერიტორიის მიმართულებით. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები სწარმოებს მოზირიეს და გორნი გრადის სექტორში. იუგოსლავიელთა ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა კოლონა, რომელმაც იერიში მიიტანა კამნიკზე.

მდგომარეობა ბუდაპეშტში

დებრეცენი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის გარნიზონის სარდალმა გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ უნგრეთის დედაქალაქი „ტრაგიკულ ჟამს“ განიცდის და რომ მოსახლეობა მოვალეა დაიცვას „უსასტიკესი წესრიგი და დისციპლინა“. სარდალი გაფრთხილებას იძლევა, რომ „პანიკური ხმების გავრცელებისათვის დამნაშავენი დაუყოვნებლივ დახვრეტილ იქნებიან“. ქალაქის მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ ქუჩებში გამოჩენა საღამოს 5 საათის შემდეგ. დამსჯელ რაზმებსა და პატრულებს ნებართვანი აქვთ ადგილზევე დახვრიტონ „საეჭვო“ პიროვნები.

ფაშისტური ორგანიზაცია „ჯვაროსანი ისრები“ გარდაქმნილია დამსჯელ რაზმებად, რომლებსაც მიცემული აქვთ განუსაზღვრელი უფლებები ანგარიში გაუსწორონ „პანიკიორებსა და წესრიგის დამრღვევთ“.

კონფერენცია ათენში

ლონდონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს დილით განახლდა ათენის კონფერენციის მუშაობა. კონფერენციაზე მიწვეულ იქნენ კიდევ მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწენი.

კორესპონდენტი სწერს, რომ ათენში ბრძოლები მთელ ღამეს გრძელდებოდა. გენერალ სკობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ „იბერელთა ჯარებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს ათენისა და პირეოს გამაგრებული რაიონების გაწმენდაში. ხელთ ვიგდეთ ტყვეების ერთგვარი რაოდენობა, აგრეთვე იარაღი და სამხედრო მასალები. ეპირში გენერალ ზერვასის ნაწილები კვლავ უკან იხევენ ელასის ჭარბი ძალების მოწოლის გამო“.

ლონდონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიოს სალაშის გადაცემაში ნათქვამია, რომ ათენიდან მიღებულ ცნობით, ათენის კონფერენცია დამთავრდა.

ლონდონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიომ დღეს საღამოს გადასცა, რომ ათენის კონფერენციაზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბერძნეთში სარეგენტოს დაწესების შესახებ. კონფერენციის დელეგატები მხოლოდ ვადების საკითხში ვერ შეთანხმდნენ. უმრავლესობა მხარს უჭერდა სარეგენტოს დაუყოვნებლივ შექმნას.

ელასის დელეგათა მოთხოვნები ათენის კონფერენციაზე

ლონდონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ათენიდან გადმოგვცემს, რომ ელასის დელეგატებმა წამოაყენეს ახალი წინადადებანი, მათ შორის წინადადება იმის შესახებ, რომ ელასს საბერძნეთის მთავრობაში დაეთმის ადგილების 40-50 პროცენტი, ერძოდ შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი.

ელასის დელეგატებმა შემდეგი მოთხოვნები წამოაყენეს: 1) პოლიციისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების წმენდა და ყანდარმერიის დაშლა; 2) ახალი მთავრობის შედგენა, რომლის მეთაურიც უმრავლესობის ნდობით უნდა სარგებლობდეს; 3) სარეგენტოს შექმნა იმ შემთხვევაში, თუ სხვა პარტიებს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ; 4) იმ პირების დასჯა, რომლებიც მტერთან თანამშრომლობდნენ და დამნაშავენი არიან ანტიპატრიოტულ მოქმედებაში; 5) ახლანდელი ამბების დასაწყისიდან შექმნილი ნაციონალური გვარდიის ოფიცრთა კორპუსის წმენდა.

ჩერჩილი და იდენი ათენიდან ღონდონს გაემგზავრნენ

ლონდონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიომ გადასცა თავისი ათენელი კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, რომ ჩერჩილი და იდენი ლონდონს გაემგზავრნენ.

ბელგიის წინააღმდეგობის ორგანიზაციის მიმართვა მთავრობისადმი

ლონდონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბრიუსელიდან გადმოგვცემს, ბელგიის წინააღმდეგობის იმ რაიონების ძირითადი ჯგუფების ლიდერები, რომლებიც გერმანელთა შეტევის საფრთხის წინაშე დგანან, 27 დეკემბერს ბრიუსელში მივიდნენ და მთავრობას ენერგიული მოწოდებით მიმართეს, რომ ნება დართოს მათ მონაწილეობა მიიღონ ამჟამად წარმოებულ ბრძოლებში. ეს წინადადება მთავრობამ უარჰყო.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა ფოკიოზე

ვაშინგტონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ დღეს დილით ამერიკის „მფრინავი ციხის“ მარკის ზემძლავრი ბომბდამშენები, რომლებსაც ბაზა კუნძულ საიპანზე (მარიანის კუნძულები) აქვთ, თავს დაესხნენ სამრეწველო ობიექტებს ტოკიოს რაიონში.

უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობის ნევრთა განცხადებანი

დებრეცენი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნეპლაპმა“ გამოაქვეყნა უნგრეთის პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადებანი, რომლებიც ახასიათებენ დროებითი ნაციონალური მთავრობის მოღვაწეობის დასაწყისს.

დროებითი ნაციონალური კრების თავმჯდომარემ დოქტორმა ბელა ჟედენმ თავის განცხადებაში აღნიშნა, დროებითი ნაციონალური კრების პრეზიდიუმის რწმუნებანი. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტს წარმოადგენს მხოლოდ-დამხოლოდ დროებითი ნაციონალური კრება. ნაციონალურმა კრებამ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებანი დააკისრა ნაციონალური კრების პრეზიდიუმს. ნაციონალური კრება არის მუდმივი წარმომადგენლობითი ორგანო და ნაციონალური სუვერენიტეტის მქონე. ამ რწმუნებებზე დაშყარებით პრეზიდიუმმა გამოსცა დიდმნიშვნელოვანი განკარგულებანი და, მინისტრთა საბჭოს წარდგენის თანახმად, დანიშნა უნგრეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი და პოლიტიკური სტატს-მდივნების ნაწილი.

სათაურით „უმნიშვნელოვანესი ამოცანა დროებითი ზავის დადებაა“ გაზეთმა გამოქვეყნა პრემიერ-მინისტრ ბელა მიკლოშის განცხადება. „ჩემს მთავრობას,—ნათქვამია განცხადებაში,—ერთ წუთსაც არ სურს უმოქმედოდ დარჩენა და ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ გვქონდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. მინისტრთა საბჭო დიდმნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად სთვლის დროებითი ზავის დადებად დელეგაციის გაგზავნას და დროებითი ზავის დადებას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ჩვენ შევუდექით ჩვენი არმიის ორგანიზაციის ამოცანების დაუყოვნებლივ განხორციელებას. გარდა ამისა, დღესასწაულების შემდეგ მთავრობა სასწრაფო წესით განიხილავს მინისტრთა საბჭოს სხდომებზე იმ პრობლემებს, რომლებიც მოხსენებულია მის დეკლარაციაში, რათა საფუძველისად მიემზადოს და შეუდგეს რეფორმების განხორციელებას. საშობაო დღესასწაულებს ჩვენ გამოვიყენებთ იმისათვის, რომ მოვაწყოთ საშინაოსტროები და რომ დღესასწაულების დამთავრების შემდეგ ყოველ სამინისტროს შეეძლოს დაუყოვნებლივ შეუდგეს თავის სამუშაოს“.

შინაგან საქმეთა მინისტრ ფერენც ერდეის განცხადებაში ნათქვამია: „დიდი ამოცანები დგას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ერთი მხრივ, საჭიროა ნამდვილი დემოკრატიის საფუძველზე მოვაწყოთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების მანქანა, მეორე მხრივ, საჭიროა უნგრეთის საზოგადოებრივი ცხოვრება გავწმინდოთ დემოკრატიის მტრებისა და ყოველგვარი დაბრკოლებისაგან, რომლებიც მის გზაზე დგანან. ყველივე ეს უნდა გავაკეთოთ ომით გამოწვეულ უაღრესად ძნელ ვითარებაში“.

უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობის შექმნისათვის

დებრეცენი, 26 დეკემბერი. (საკდესი). რადესაც კომენტარს უკეთებენ უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობის შემადგენლობას, აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მთავრობაში შედიან უნგრეთის ყველა დემოკრატიული პარტიის გავლენიანი წარმომადგენლები და წინანდელი სახელმწიფო აპარატის გამოჩენილი მოღვაწეები—პარლამენტარიები, აღნიშნავენ, კერძოდ, რომ პრემიერ-მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი მიკლოშ ბელა, უნგრეთის არმიის ერთ-ერთი უაღრესად დიდი მოღვაწე, დიდი ხნის განმავლობაში მეტად დაახლოებული იყო რეგენტ ჰორტისთან.

მაშუამთმქმედების მინისტრი ნად იმრე უნგრეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. ნად იმრე, წარსულში მუშა ზეინაალი, უნგრეთის კომუნისტური პარტიის არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ქალაქ კაბოშვარში ოცდაათ წლებში. იგი დიდი სპეციალისტია აგრარული ურთიერთობების საკითხებში.

ვაჭრობის მინისტრი გაბორ იო�ეფი წარმოშობით მუშაა. დაიბადა 1892 წელს და უნგრეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეა. გაბორი პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა, მსახურობდა უნგრეთის არმიის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში. 1914 წლამდე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.

შინაგან საქმეთა მინისტრი ფერენც ერდეი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო თავისი საზოგადოებრივი-პოლიტიკური მოღვაწეობით, როგორც ნაციონალ-გლეხური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, არამედ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობითაც.

იგავიერმა კავკასიოლოგმა სიკვდილით დასაჯეს ფაშისტთა მეთაური ფარინაჩი

პარიზი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იტალიის საზღვრიდან იტყობინება, რომ იტალიელმა პატრიოტებმა კრემონის რაიონში სიკვდილით დაიჯალეს იტალიის ფაშისტური პარტიის ერთ-ერთი მეთაური, მუსოლინის აქტიური მომხრე რობერტო ფარინაჩი. იგი მოჰკლეს მაშინ როცა კრემონაში მიდიოდა ავტომობილით მიუხნენიდან, სადაც უკანასკნელ დროს ცხოვრობდა. თავდასხმა მოახდინა პატრიოტთა ჯგუფმა, რომელიც შედის ჩრდილოეთ იტალიის განშტოებულ ანტიფაშისტურ არალეგალურ ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციის წევრებმა უკვე მოსპეს ფაშისტთა მთელი რიგი გამოჩენილი მეთაურები.

სტალინიუსის სტავია ამერიკულ ქურნალში

ლონდონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჩიკაგოდან გადმოგვცემს, ჟურნალ „როტერი ულანში“ მოთავსებულ მოწონავე სტატია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სტეტინიუსისა, რომელიც სწერს:

„ძნელ იქნებოდა გადაჭარბებით შეგვფასებინა დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე შემუშავებულ წინადადებათა მნიშვნელობა, ვინაიდან ისინი სახავენ გამოსავალს იმ წარმოუდგენლად კატასტროფული მდგომარეობიდან, რომელშიც უდავოდ ჩავარდებოდა ჩვენი ქვეყანა, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყანა, ჩვენ რომ ვერ შეგვექმნა ეფექტიანი, ქმედითი ორგანიზაცია მშვიდობიანობის დასაცავად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითმფრინავყუმბარები და რაკეტები ამჟამად იმყოფებიან განვითარების საწყის სტადიაში, განვითარების იმ სტადიასთან შედარებით, რომელსაც ავიაციამ მიაღწია, როდესაც შექმნილი იყო კიტი ჰაუკის თვითმფრინავი.

ბევრი ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ათი ან ოცი წლის შემდეგ ეს მომაკვდინებელი ყუმბარები იმ ზომამდე იქნებიან გაუმჯობესებულნი, რომ წარმოუდგენელი სისწრაფით გაიფრენენ ათასობით მილს, ამ შემთხვევაში ჩვენი ოკეანეები, ჩვენი სამრეწველო ძლიერება და ჩვენი ადამიანთა რეზერვები ვერ შესძლებენენ თავიდან აიცილეთ უეცარი თავდასხმა და დიდი ნგრევანი, რომელთა მიყენებაც შეუძლია ასეთი ყუმბარების დაშვებას, რომლებიც ხმაზე უფრო ჩქარა მოძრაობენ“.

ამერიკის სამხედრო პოლიცია დასავლეთის შრომაზე გერმანელ ლეგიონერებს იჭერს

ლონდონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის პირველ არმიასთან მყოფი რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი სწერს, რომ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის ჯარების განლაგებაში შემოიპარა გერმანელთა სპეციალური დანიშნულების რაზმი ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელთა დახოცვის მიზნით. ეს რაზმი შესდგებოდა მთელი რიგი ადამიანებისაგან, რომლებმაც მოკავშირეთა ატოკოლონით იმგზავრეს, ამასთან ამერიკული ფორმა ეცვათ; ამ რაზმში შედიოდა კიდევ რამდენიმე ქალი, რომლებიც პარაშუტებით გადმოუსხამთ. გამოირკვა, რომ გერმანელებს, რომლებსაც ამერიკული ფორმა ეცვათ, ეს ფორმა გაუხდიათ ამერიკელი ტყვე ოფიცრებისათვის, რომლებიც შემდეგ დაუხვრეტიათ.

გერმანიის მოსახლეობას ღითონის საოჯახო ნივთებს აკრძალავენ

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი. (საკდესი). ჰიტლერელ ხელისუფალთა უკანასკნელი ღონისძიებანი იმას მოწმობენ, რომ გერმანიის მეტალურგიული მრეწველობა ნედლეულის სულ უფრო მწვავე ნაკლებობას განიცდის. გერმანიის პროვინციული პრესა ამას წინათ აპრელებული იყო განცხადებებით, რომლებიც გერმანიის მოსახლეობას მოუწოდებდნენ, ნებაყოფლობით ჩააბარეთ ლითონის ჯართი. მაგრამ ამ მუდარამ სასურველი შედეგი არ გამოიღო და ჰიტლერელმა ხელისუფლებამ გამოსცეს განკარგულება, რათა მოსახლეობას იძულებით ჩამოერთვას საოჯახო და სამეურნეო ლითონის ნივთები — ჭურჭელი, სარწყავები, ბიდონები და სხვ. ამ დღეებში გამოქვეყნებული იყო აგრეთვე განკარგულება მთელ ლითონნაკეთობათა კონფისკაციის შესახებ, რომლებიც გერმანიის სამრეწველო საწარმოთა საწყობებში იმყოფება.

ჯიღლმაჯიული უთანხმოების აღდგენა ინგლისსა და ბელგიას შორის

რომი, 26 დეკემბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე იმის შესახებ, რომ ამ დღეებში იტალიისა და ბელგიის მთავრობები შეთანხმდნენ განაახლონ დიპლომატიური ურთიერთობა იტალიასა და ბელგიას შორის. უახლოეს ხანში ბელგიის ელჩი გაემგზავრება რომს, ხოლო იტალიისა ბრიუსელს.

საგარეო საქმეთა მინისტრ იანოშ დიენდეშის განცხადებაში

საგარეო საქმეთა მინისტრ იანოშ დიენდეშის განცხადებაში, რომელიც გაზეთმა გამოაქვეყნა, ნათქვამია: „ჩვენს საგარეო პოლიტიკას დღეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს: წაგება ომისა, რომელიც წინანდელ მთავრობათა მიზეზით თავს მოგვახვიეს გერმანელებმა, და წითელი არმიის ძლევამოსილი წინსვლა დუნაის აუზში. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ ორ ფაქტორს. როგორც ნაციონალური კრების სხდომებზე წარმოთქმული სიტყვებიდან შეგვიძლია გამოვარკვიოთ, უნგრელმა ხალხმა უკვე გააკეთა ეს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვთხოვთ საბჭოთა კავშირს დროებით ზავს. ჩვენ დაუყოვნებლივ გავწყვეტთ კავშირს გერმანიასთან და, თუ ამისათვის რაიმე შესაძლებლობა იქნება, ომს დავიწყებთ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირეთა მხარეზე ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ, რომელმაც ამდენი უბედურება, წამება და სირცხვილი მოუტანა უნგრელ ხალხს. მაგრამ ჩვენ ამაზე უფრო შორსაც წავალთ. ჩვენ ვეცდებით მოვიპოვოთ საბჭოთა ხალხის კეთილგანწყობილება და მეგობრობა და დარწმუნებული ვართ, რომ ამას მივაღწევთ“.

მიწათმოქმედების მინისტრ ნად იმრეს განცხადებაში, რომელიც დაასათაურებულია „საჭიროა მიწა მივცეთ უნგრეთის სოფლის ღარიბ გლეხებს“, აღნიშნულია, რომ „დანაშაულებრივმა პოლიტიკამ, რომლის შედეგადაც ჩვენი სამშობლო ჩათრეული იყო ომში საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, უნგრეთის სოფლის მეურნეობა მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. სოფლის მეურნეობის წარმოების აღდგენის გეგმები ჩვენს წინაშე უდიდეს ამოცანებს სახავენ. ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ სოფლის მეურნეთა მხრივ ფართო დახმარების აღმოჩენით. მაგრამ საჭიროა არა მარტო პური მივცეთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას სოფლის მეურნეობის აღდგენის გზით, არამედ საჭიროა აგრეთვე განვახორციელოთ რადიკალური აგრარული რეფორმა, რათა უნგრეთის სოფლიდ ასიათასობით წვრილმა გლეხმა და ღარიბმა მიიღოს მიწა. მე მგონია, რომ ასეთი რადიკალური აგრარული რეფორმის გარეშე ვერ იქნება ძლიერი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული უნგრეთი. ვერ იქნება ახალი ნაციონალური აღორძინება“.

ნაციონალური თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი იანოშ ვერეში თავის განცხადებაში სახავს უნგრეთის ნაციონალური შეგნებით გამსჭვალული ახალი დემოკრატიული არმიის შექმნის გეგმებს.

გაზეთის მიერ გამოქვეყნებული განცხადება მინისტრ აგოშტონ ვალენტინისა მიძღვნილია იმ ამოცანებისადმი, რომლებიც იუსტიციის სამინისტრომ მისი მეთაურობით უნდა გადაუჭრას.

უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობის შექმნისათვის

დებრეცენი, 26 დეკემბერი. (საკდესი). რადესაც კომენტარს უკეთებენ უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობის შემადგენლობას, აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მთავრობაში შედიან უნგრეთის ყველა დემოკრატიული პარტიის გავლენიანი წარმომადგენლები და წინანდელი სახელმწიფო აპარატის გამოჩენილი მოღვაწეები—პარლამენტარიები, აღნიშნავენ, კერძოდ, რომ პრემიერ-მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი მიკლოშ ბელა, უნგრეთის არმიის ერთ-ერთი უაღრესად დიდი მოღვაწე, დიდი ხნის განმავლობაში მეტად დაახლოებული იყო რეგენტ ჰორტისთან.

მაშუამთმქმედების მინისტრი ნად იმრე უნგრეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. ნად იმრე, წარსულში მუშა ზეინაალი, უნგრეთის კომუნისტური პარტიის არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ქალაქ კაბოშვარში ოცდაათ წლებში. იგი დიდი სპეციალისტია აგრარული ურთიერთობების საკითხებში.

ვაჭრობის მინისტრი გაბორ იოcეფი წარმოშობით მუშაა. დაიბადა 1892 წელს და უნგრეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეა. გაბორი პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა, მსახურობდა უნგრეთის არმიის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში. 1914 წლამდე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.

შინაგან საქმეთა მინისტრი ფერენც ერდეი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო თავისი საზოგადოებრივი-პოლიტიკური მოღვაწეობით, როგორც ნაციონალ-გლეხური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, არამედ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობითაც.

ქ. გორკის მცხოვრები, ფრონტელის ცოლი ნ. ს. ხოლდატოვა რვა ბავშვს ზრდის. მებრძოლის ოჯახისადმი დიდ მზრუნველობას იჩენენ ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ქალაქის საბჭომ მას ძროხა აჩუქა. სურათზე: ნ. ს. ხოლდატოვა თავისი ბავშვებით.

ფოტო პ. მოზეუხინისა (საკდესის ფოტო-ქრონიკა).

„ჯურღაის ფარი“ ფრონტზე

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო ოქმედი არმიიდან შემდეგი შინაარსის წერილი:

„ბოროტი საბრძოლო სალამი და ჩვენი გულითადი მადლობა გადასცეთ რეჟისორ ჭიაურელს და თბილისის კინოსტუდიის თანამშრომლებს იმ სიამოვნებისათვის, რაც ჩვენ დღეს განვიცადეთ.

დღეს, 1944 წლის 26 ნოემბერს, ჩვენ ენახეთ თბილისის კინოსტუდიის მიერ დადგმული კინოსურათი „ჯურღაის ფარი“.

ქაღალდზე ძნელია იმის გადმოცემა, რაც ჩვენ განვიცადეთ, როდესაც სურათს ვუყურებდით. თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს ვყოფილიყავით ჩვენს მშობლიურ საქართველოში, თბილისში. ამ სურათმა მოგვაგონა ჩვენი სამშობლოს ვმირული წარსული, ჩვენნი წინაპრების ბრძოლები და გმირჯვენანი.

ბევრი ტაბლი გრძნობა და მოგონება ბაგეიღეიძა „ჯურღაის ფარმა“. და თუმცა ჩვენ ახლა შორს ვართ, მაგრამ შორს აღარ არის ის დღე, როდესაც მტერს საბოლოოდ დავამარცხებთ და კვლავ მოვალთ საყვარელ მზიურ საქართველოში.

განსაკუთრებული ძადლობა და საუკეთესო სურვილები გადაეცეთ მსახიობებს დავით გამრეკელს და ქეთო ჯაფარიძეს ტაბილი სიმღერებისათვის, ძალიან გვენატრება ქეთო ჯაფარიძეს მოსმენა, მაგრამ ჯერ უნდა ბოლომდე შეგასრულოთ ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე.

აქ ჩვენთან ერთად არიან სხვა მოძმე რუსპუბლიკების ხალხთა შვილები. მათაც ძლიერ მოეწონათ „ჯურღაის ფარი“.

ვუსურვებთ თბილისის კინოსტუდიის მუშაკებს კვლავ ნაყოფიერად იმუშაონ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, რათა წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ბრძოლის შემდეგ კულტურულად დაისვენონ.

ფრონტული სალამი:

შამაევა, ქორქოსაძე, ტოგონიძე, ჯიეჯეიშვილი, ფუტკარაძე, ნანეიშვილი, მარგველაშვილი, ბინიურიშვილი, დოროსკოვა, ეგანოვა, მოროზოვი, იუსისიანი, ვართანიანი, მოროზოვა, გულიანი, კარავაევა, პჩელ კინა, მირგოროდსკაია და სხვები.

უნგრეთი, უკრაინის მე-2 ფრონტი“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

29 და 30 დეკემბერს საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შესდგება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია.

სესია მოისმენს შემდეგ მოხსენებებს:

29 დეკემბერს — პროფესორი ა. ბარამიძე („ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის ახლადმოპოვებული ხელნაწერები), დოცენტი გ. კიკნაძე (ვაჟა-ფშაველას წერის მანერა), გ. იმედაშვილი („ვეფხისტყაოსნის“ პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში).

30 დეკემბერს — აკადემიკოსი კ. კეკელიძე (ქართული ამპარიფული ლიტერატურის ისტორიიდან), დოცენტი მ. ჩიქოვანი (აბუსერიძე ტბელის თხზულების მოტივები ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში), თ. ჭყონია (გრიგორ ფოდებული ინკუბაციის კვალი „ზეიოს სასწაულში“).

სხდომები დაიწყება დილის 11 საათზე.

მოკრივეთა შეჯიბრება

დამთავრდა უძლიერეს მოკრივეთა შეჯიბრება საქართველოს სსრ 1944 წლის პირველობაზე. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მთელი რიგი ძლიერი ახალგაზრდა მოკრივე გამოავლინა (ძნელაძე, ნაბიჭვრიშვილი, ვიორგობიანი, მინასიანი და სხვ.).

სხვადასხვა წონითს კატეგორიებში საქართველოს სსრ ჩემპიონობა მოიპოვეს სპორტის ოსტატმა ბ. კალაძემ, ე. ხანუკაშვილმა, ბ. არისტაგოვმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ვართანოვმა, ზ. კანდელაკმა, სპორტის ოსტატმა ლ. ღუდუშაურმა და სპორტის ოსტატმა ა. ნავასარდოვმა.

გუნდური პირველობა „დინამომ“ მოიპოვა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. გოლდშტეინი.

კონსულტაცია

29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურული სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) სკოლების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება ამბ. ნიკიტინკოს კონსულტაცია რუსულ ენაზე.

თემა: „პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სკოლაში“.

კინოებში

29 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი — „მალაზოვის ყორღანი“. დამკვრელი — „სიმღერა რუსეთზე“. კომკავშირელი — „ჩემი სიყვარული“. სპარტაკი — „ძველ ჩიკაგოში“.

თეატრებში

მარგველანიშვილის სახელობის—29/XII „ჰერეფული ცოლის მორჩულება“. გრიბოედოვის სახელობის—29/XII—„უკანასკნელი მსხვერპლი“, 30/XII — „სახიფათო ასაკი“. ახუნდოვის სახელობის — 29/XII — „1905 წელი“. მუსიკალური კომედიის — 29/XII — „მზის დაბნელება“, 30/XII — „ყვავეულული ბალი“. სანკულტურის — 30/XII—„სევდიანი რომანი“. მოზარდ მაყურებელთა ქართული — 29, 30/XII — „ფარავნელი ჭაბუკი“. რუსული — 29/XII — დილისით—„გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში“, 30/XII — დღისით—„კუნიანი კვიცი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ შინსახკომის გასამხედროებული სახანძრო დაცვის თბილისის საქალაქო სამმართველო აცხადებს საწარმოთა